სამშაბათი, 31 მარტი 1925 წ. წელიწადი მესამე პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ფასი 10 კაპ.

რევოლუცია

№ 6 (29) კომუნისტი-ს სალიტ.-სამხატვრო ორკირეული დამატება № 6 (29)

ვ. ვლადიმიროვი.

ა. მიასნიკოვი.

ნ. ნარიმანოვი

ს. მოგილევსკი.



ბ. ათარბეკოვი.

პეტრე შმიდტი

უკვე ცხრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ჩემს მეხსიერებაში კი გუშინდელი ამბავივით ინახება ყველაფერი.

ვისაც არ უნახავს შმიდტი, სევასტოპოლის აჯანყება, ზარბაზნების გრიალი, ცეცხლი და უზომო ხოცვა-ჟლეტა, მას ჩვეულებრივ რევოლიუციურ აფეთქებათ წარმოუდგება ეს განსაკუთრებული იერიში—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული.

იმის შემდეგ რევოლიუციამ ბრძოლისა და გამარჯვების ისეთი მთაგრეხილები გადაიარა, რომ ეს ამბავი თითქოს პატარავდება ჩვენ თვალში, განსაკუთრებით—ამდენი ხნის მანძილზე.

მაგრამ საკმარისია ცოტა ხანი მაინც გადავფრინდეთ მოგონებით ცხრაას ხუთი წლის პოლიტიკურ სამყოფელოში და მაშინ დავრწმუნდებით, რომ სევასტოპოლის აჯანყება იყო ნამდვილი გიგანტური აფეთქება მთელ ხანგრძლივ წინასწარ ბრძოლაში.

ეს აჯანყება საყურადღებოა პირველ ყოვლისა იმით, რომ მას მეთაურობდა პეტრე შმიდტი.

ის არ ეკუთვნოდა არცერთ პარტიას. არც იცნობდა საზოგადოება როგორც სხვა დარგში მაინც გამოჩენილ პირს.

მან მხოლოდ ორი-სამი კვირის წინედ გაითქვა სახელი სევასტოპოლში. ეს მოხდა შემთხვევით:

ჩვიდმეტ ოქტომბერში დიდი მანიფესტაცია გაემართათ სევასტოპოლში. მთავრობის ჯარებს სროლა აეტეხათ და ათიოდე კაციც მოეკლათ.

რამდენიმე დღის შემდეგ მოაწყეს მსხვერპლების დიდებული დასაფლავება. შმიდტის პირველი გამოსვლაც სწორედ აქ მოხდა.

დაღუპულთა საფლავზე მან წარმოსთქვა ისეთი სამაგალითო და ძლიერი სიტყვა, რომ მეორე დღესვე მთელი რუსეთის ყველა გაზეთებს მოედო ეს ამბავი. მთელმა საზოგადოებამ იწყო შმიდტზე ლაპარაკი. გაზეთები უკვე დაწვრილებით შეუდგენ მისი ვინაობის გამოკვლევას, რომ დაეკმაყოფილებიათ ამღელვარებულ საზოგადოების ცნობისმოყვარეობა.

იგი იყო მეზღვაური აფიცერი. ნებაგატოვის ესკადრასთან ერთად მიდიოდა შორეულ აღმოსავლეთში იაპონელების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ინდოეთის ოკეანეში ავათ გახდა და უკან იქნა დაბრუნებული.

იმ მანიფესტაციის შემდეგ ყველას პირზედ ეკერა შმიდტის სახელი. და როდესაც იფეთქა სევასტოპოლის აჯანყებამ, ყველას ბუნებრივათ ეჩვენა მის სათავეში შმიდტის ჩადგომა.

ოდესის ორგანიზაციამდისაც მოაღწია ხმამ, რომ სევასტობოლში რაღაც დიდი ამბები ხდებოდა. ახალგაზრდული სიხალისითა და გატაცებით მეც დაუყონებლივ გავეშურე იქით.

მეორე დღეს დილით უკვე „ოჩაკოვზე“ ვიყავი, საიდანაც შმიდტი ხელმძღვანელობდა აჯანყებას.

მე არ მინდა აქ ხელ-ახლათ გავიხსენო აჯანყების ისტორია. ეს უკვე დაწვრილებითა მქონდა აწერილი მაშინდელ გაზეთებში

ეხლა მინდა გავიხსენო მხოლოდ შმიდტის პიროვნება, რომლის სახელოვან სიკვდილის შემდეგ უკვე სრული ცხრამეტი წელი გახდა ამ მარტის თვეში.

რაღაც სიხარული, სიძლიერე და იმედი ვიგრძენი შმიდტის რევოლიუციურ ამირბარათ დანიშვნის გამო.

— მაშ საქმე წავა, კარგათ წავა და კარგათაც გათავდება!

პირველათ დავინახე შმიდტი გემის დიდ დარბაზში, სადაც იგი მეზღვაურებს რევოლიუციურ დარიგებას აძლევდა.

იმ სახელის მიხედვით, რომელიც შმიდტმა მოიხვეჭა, იმის გარეგან შეხედულებაზეც სულ სხვა წარმოდგენა მქონდა:

რიხიანი, წარმოსადეგი, მტკიცე, მჭექარი!

მაგრამ რამდენადაც შემეძლო მაშინ ადამიანის ცნობა, ჩემ წინ წარმოსდგა სულ სხვა პიროვნება:

საშუალო ტანადობის ადამიანი, თითქმის ავადმყოფური შეხედულებისა. ბრძანების მაგიერ—მის ხმაში ისმოდა რაღაც ვედრება თუ დარიგება. რიხიანობისა და სიმტკიცის სანაცვლოდ—იგი წარმოადგენდა რაღაც სათნოებას და სიკეთეს. მასში სჩანდა მოდუნება, ცხოვრების სინამდვილისა, მაგრამ ამავე დროს ადამიანი გრძნობდა მის სულიერ სიმაღლესა და სიძლიერეს, რომელსაც ვერას გზით ვერ შეარყევს თანამედროვე ცხოვრების სიმუღთლე.

ყველა მეზღვაურები აღტაცებითა და უზომო სიყვარულით ეპყრობოდენ თავიანთ რჩეულ უფროსს.

მაშინ როგორ გავბედავდი რამე კრიტიკა გამეწია შმსდტისათვის, მაგრამ როცა გავეცანი მთელ მდგომარეობას და ძალთა განწყობილებას, მაშინათვე ყრუთ ვიგრძენი, რომ აქ რაღაც აკლია. საქმე უფრო სტიქიურათ, ღვთისანაბარათ მიმდინარეობდა, მაგრამ ნაკლებად სჩანდა რევოლიუციური ნებისყოფა და სამზადისი.

დილიდანვე ქალაქში გაკრეს დაბეჭდილი განცხადებანი შმიდტისა:

„В случае насилственных действии со стороны казаков, я буду принуден принять решительные меры“.

პირველი სამოქმედო ნაბიჯი, რომელიც შმიდტმა გადასდგა—ეს იყო „პატიომკინის“ პირველ აჯანყების პატიმართა განთავისუფლება.

კონტრ-ნაღმოსან „სვირეპიზე“ შეიარაღებული რაზმით და სამხედრო მუსიკით იგი მისცურავდა უზარ-მაზარ გემებ შორის და თან მისდევდა აჯანყებულ მეზღვაურთა ტაში და „ვაშა!.“

მხოლოდ ერთი ჯავსნოსანი იცქირებოდა პირქუშათ.

ეს იყო—„რასტისლავი“.

ნახევარი საათის შემდეგ შმიდტმა მოიყვანა საპატიმრო გემ „პრუტიდან“ განთავისუფლებული მეზღვაურები.

ხვევნა და კოცნა; სიხარულის ცრემლები და ვაშა ისე აირიენ „ოჩაკოვზე“ ერთმანეთში, რომ კაცს ქვეყანა სულ გარდაქმნილად ეჩვენებოდა,

თვითონ შმიდტმა ახლად ჩამოუარა ყველა გემებს, რომ საბოლოოთ გაეგო—ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი.

სამი უდიდესი ჯავსნოსანი და მათ შორის „პოტიომკინიც“ აჯანყების მომხრე გამოდგენ.

„პოტიომკინზეც“ უკვე ფრიალებდა წითელი დროშა, რაც „ოჩაკოველებს“ აღფრთოვანებას უმატებდა.

(„პოტიომკინი“ მაშინ პირველ-ხარისხოვანი ჯავშნოსანი იყო და შეეძლო მთელ დანარჩენ ესკადრას გასწრებოდა)

მხოლოდ ჯავსნოსან „როსტისლავი დან“ ვინებითა და შეურაცხყოფით გამოისტუმრეს შმიდტი

შმიდტის დასახასიათებლათ ძალიან მჭერმეტყველია ეს მაგალითიც:

იმის მაგიერ რომ გაჰხარებოდა იმდენი გემების შემოერთება, მას ყველაზე მეტად გული მოუკლა როსტისლავის“ განდგომამ და იქიდან „მოღალატის“ დაძახებამ.

ის აღელვებული ამოვიდა „ოჩაკოვზე“ და და წარმოსთქვა განსაკუთრებული გულამოსკვნილი სიტყვა.

ეს იყო აღშფოთებული ჩივილი და წყევა მონათ ქცეულ ადამიანებისა, რომელთაც არ ესმით თავიანთი განთავისუფლების ფასი.

საშინელი მგრძნობიერი და გულწრფელი იყო იმისი სიტყვა. და რა დაამთავრა, დამხო ერთ მეზღვაურს მხრებზე და მორთო ქვითინი. ამ სურათმა ბევრი სხვაც აატირა.

მაგრამ თურმე რა ძვირფასი დრო იკარგებოდა თუმცა ლამაზ და მგრძნობიერ სიტყვებში და ტირილში, მაგრამ ბრძოლის თვალსაზრისით—სრულიად უნაყოფო და ხელის შემშლელ ბედის წყევაში.

გარემოება ასეთი იყო:

აჯანყების დასაწყისში ადმირალ ჩუხნინს იმდენი წინდახედულობა და ეშმაკობა გამოეჩინა, რომ ყველა გემების ზარბაზნებიდან მოეხსნათ საკეტები (უდარნიკები). დაეტოვათ მხოლოდ „როსტისლავზე“, როგორც უერთგულეს გემზე და „ოჩაკოვზე“, რადგან აქ არ მიეცათ ნება. ისე რომ ბრძოლა ნამდვილათ ამ ორ გემს შეეძლო. სხვები კი დაუქმებული იყვნენ.

აქ მგრძნობიერ სიტყვების მაგიერ საჭირო იყო დაუყონებლივ მიეწოდებინათ „პოტიომკინისა“, „გიორგი პობედანოსცისა“ და სხვებისთვის ზარბაზნის საჭირო ნაწილები. ესენი კი იმყოფებოდენ სანაპირო საწყობებში, რომლის გარნიზონებიც დილიდანვე შეუერთდენ აჯანყებულებს.

ეს ვერ მოახერხეს თავის დროზე და ბრძოლაც წაგებული გამოდგა.

„ოჩოკოვზე“ ისიც კი ვერ იფიქრეს, რომ მანქანები ამუშავებული ჰქონდათ წინდაწინ, ყოველ შემთხვევისათვის. მეტადრე თვით შმიტი ამბობდა:

— თუ აქ დავმარცხდით, მაშინ უეჭველათ საზღვარგარეთ გავალთ ჩვენი გემითო.

მიუხედავათ ყველა ნაკლისა—მთელი ეს აჯანყება მაინც არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

— აჯანყებულთა ხელში მთელი ჯავშნოსნები! ზარბაზნები! ეს რაღაც ზღაპრული ამბავი იყო მაშინდელ ბრძოლის ხანაში.

ოთხი საათი იქნებოდა.

შმიტმა მომცა დეპეშა ოდესის ორგანიზაციაში გასაგზავნათ:

„Все идет благополучено“.

ის იყო მოვასწარი ნავში ჩაჯდომა და გაჩაღდა კიდეც საშინელი თავზარდამცემი ბრძოლა.

როგორ გამოვაღწიეთ ნაპირზე—ეს პირდაპირ სასწაული იყო.

იმ დროს როცა შმიდტი აღშფოთებულ სიტყვებს ამბობდა „ოჩოკოვზე, მთავრობა თურმე მობილიზაციას ახდენდა მთელ თავის ძალებისას და მოულოდნელადაც აუტეხა ბრძოლა „ოჩაკოვს“.

ყოველი მხრიდან ისმოდა ზარბაზნების საშინელი გრგვინვა და ეს რისხვა ატყდებოდა თავზე მხოლოთ „ოჩაკოვს“.

სხვა რევოლიუციური გემები ბრძოლაში ვერ ჩაებენ, რადგან ზარბაზნის ნაწილები აკლდათ. ამიტომ ბრძოლას დაწყებისათანავე იგინი დანებდენ მშვიდობიანათ.

მრავალი მეზღვაური დაიხოცა გემზეც და ზღვაშიც, ყუმბარით დაცხავებულ ოჩკოვს ცეცხლი გაუჩნდა და მთელ ღამეს გიზგიზებდა შუა ზღვაში.

შმიდტი თავს მარჯვენა ხელ ჩასტნიკთან და სხვებთან ერთად შეიპყრეს ნავში, როცა უკანასკნელათ ჩამოვიდენ „ოჩაკოვიდან.

მარტში მოხდა გასამართლება. შმიტისა და სამ მის ამხანაგს დახვრეტა მიუსაჯეს..

განსაკუთრებულ სულიერ სიძლიერესა, სიმტკიცისა და სიამაყეს იჩენდა შმიტი მთელ თავის ტყვეობის დროს.

მთელ ბრალს აჯანყებისას ის იღებდა თავის მხრებზე და არწმუნებდა მოსამართლეთ, რომ სხვები არ არიან დამნაშავენი, გარდა იმისა.

არ გასჭრა შმიტის თავგანწვამ და მუდარამ.

„ოჩკოვის“ უდაბურ კუნძულზე გამოასალმეს ოთხივე წუთი-სოფელს.

ფრიად ტრაღიკული იყო თვით სიკვდილიც: ჯარის კაცები არ ესროდენ, აცილებდენ გამოსცვალეს. სხვებს ასროლინეს. მაინც აცილებენ.

სამივე დაიხოცენ. შმიტი ი'ევ ცოცხალია. თვითან შმიტი ეხვეწება:

— მესროლეთ ძმებო!

ასეთი გმირულ წამებით როგორც იქნა ეღღირსა გულში ერთი ტყვია და სიცოცხლესაც დაუკრა თავი. .

ცხრამეტი წელია მას უკან!

მე კი დღეებათაც ძლივს მეჩვენება— ისე ახლოა ყველაფერი...

ლელი.

ზღვის პირად*)

IV.

მიუხედავად იმისა, რომ ლევანს დაეკარგა დაშნაძის გაცნობის სურვილი, მაინც მოხდა ისე, რომ მათ ერთმანეთი გაიცვნეს.

— ოო, ლევან, ლევან! ჩვენო სასახელო ლევან,—შესძახა რემანოზმა,—რა მოხარული ვარ, რომ გამოგეცნაურე, ოც წელიწადზე მეტი იქნება, რაც ერთმანეთი არ გვინახავს!.. დაბერებულხართ, გაჭაღარებულხართ!.. ხე... ხე... ერთიანად გამოცვლილხართ!..

— დრომ და მუშაობამ ასე იცის, ჩემო რემანოზ, ვხედავ შენც ჭაღარა გამოგრეევია,—უპასუხა ლევანმა, რომელიც ამაყად და დინჯად, ფეხზე ფეხგადადგმული და ხელში ჯოხით გრძელი სკამის ზურგზე ნებირვლულად გადაწოლილიყო.

— დიახ ბატონო ლევან, დიახ, შრომამ და დრომ ასე იცის, ეს კარგად ბრძანეთ... ღიმილით და ხელების მტვრევით ეუბნებოდა ლევანის წინაშე ფეხზე მდგარი რემანოზი.

„ნამდვილი მონაა, სწორეთ რომ მონაა, როგორ დამეთანხმა,—ფიქრობდა მისი შემხედვარე ლევანი,—„მერე, როგორ მონურად იმანჭება... საბრალო კაცუნა... ჰმ... чиновник ты будешь с виду и подлец душой... სწორეთ ასეთების შესახებ უთქვამს ეს სიტყვები ნეკრასოვს“...

*) გაგრძელება, იხ. „ჩირაღდანი“ № 5.

— სხვა რას შვებით, ბატონო, ლევან, როგორ ცხოვრობთ, როგორ საქმიანობთ, როგორ მოეწყვეთ ცხოვრებაში?... მაინტერესებს, როგორც ჩემი ძველი, ბავშობის დროინდელი და თანაც ჩემი სოფლელი ადამიანის ავკარგი...

რა უნდა ვქნა, ჩემო კეთილო. ვცხოვრობ ისე, როგორც შეფერება მარტოხელა კაცს, ბედისამარად მყოფს... დავეხეტები, ვით მეტეორი ცის კაბადონში...

— როგორ, თქვენ ცოლი არ შეგირთავთ? ჰკითხა მზრუნველობით რემანოზმა.

— არა, ჩემო რემანოზ, ჯერ კიდევ ბედს დავეძებ!.. ხა... ხა... ხა... შენ კი გიადრებია, რემანოზ, რომ დაცოლშვილებულხარ, რა გეჩქარებოდა, შე კაი კაცო!..

— ეხ რა ყრია მაგ ოხერში შრომისა და წვალების მეტი... მაგრამ მაინც კარგია ცოლშვილი... იმედია... გულის გამხარი...

— ვითომ აგრეა? ირონიულათ უთხრა ლევანმა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია!.. თუმც სიმწარეც ბევრია შიგ... ბავშობის მეგობრებმა დიდხანს ილაპარაკეს, ლევანს კიდო ნახევრად ირონიული იყო, იგი ზევიდან დაყურებდა რემანოზს და უმეტეს შემთხვევაში სახუმარო პასუხს აძლევდა. ლევანი თავიდანვე სკამზე იყო გადაჭიმული, რემანოზი კი მის წინ იდგა თუმც სკამზე ბევრი იყო ადგილი, მაგრა ლევანმა ერთხელაც არ მიიპატიჟა დაშნაძე არც კი მოგონებია ეთქვა—შენც ჩამოჯექიო.

მართალი რომ ვსთქვათ, სხვაფრივ არც კი შეიძლებოდა მოქცევოდა ლევანი, ისეთ პატარა კაცს, როგორც იყო რემანოზ დაშნაძე. სად ლევანის აზრები და დაშნაძის! სად ლევანის პიროვნება და საბრალო სოფლის მასწავლებელი! ერთის მხრივ იალბუზი, მეორე მხრივ ფეხთა მტვერი!..

რემანოზის დაკვირვებული თვალი ყველაფერს ამჩნევდა: ლაპარაკის კილოსაც, დასაჯდომად მიუპატიჟებლობის სარჩულსაც... მაგრამ თავის თავს მაინც მოვალეთ თვლიდა ღირსეულად დაეჭირა თავი ძველი ნაცნობისა და თითქმის მეზობლობაში აღზრდილ ადამიანის წინაშე.

„მით უარესი ლევანისათვის, რომ აგრე ამაყი გამომდგარა ცხოვრებაში“, ფიქრობდა იგი. ლაპარაკის დასასრულ თავის სახლშიც კი მიიპატიჟა ლევანი. ლევანმა ირონიული დასტური მისცა: ბარემ ერთიანათ გავეცნო ამ კაცუნასო—გაიფიქრა.

„ცოლი რად არ შეირთეო... ეს კითხვა სწორეთ რომ დაშნაძის ღირსი იყო. ხა... ხა... ხა... ცოლის შერთვა, აი უაღრესი და მასთან უკანასკნელი გადამწყვეტი ნაბიჯი დაშნაძეების ცხოვრებაში, ამაზე მაღლა ისინი ვერ აიწევენ“. ასე ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი ლევანი. ცოლის შერთვის საკითხი ლევანს წინანაშე დიდიხნის უკან წამოჭრა და შესაფერადაც გადაწყდა. ცოლი და შვილი ლევანს პი-

წითელი მეზღვაურები.

ერთხელ აწყვეტილ აჯანყებულ
ჩვენს წითელ გემებს
ვერ შეაჩერებს ქარიშხალის
შმაგი მოწოლა;
ჩვენს დამარცხებას მტერი ჩვენი
ველარ იგემებს,
ოკეანებსაც გადავსერავთ
სისხლისფერ ზოლათ!

ჰაუ, ზვირთებო,
ქარტეხილით მოგუგუნენო
და შენც, გრიგალო,
ატეხილო ჩვენზე სიმძაფრით,—
გზა, გზა მოგვეცით!
კუნძულისკენ, გემებო ჩვენო!
წინ, მეზღვაურნო,
წითელ ზღვით და წითელი აფრით!

გ. ძუჩიშვილი.

როვნების და საზოგადოდ საკუთარი თავისუფლების შემზღუდველად მიაჩნდა, ამიტომ ამ საკითხს უარყოფითი პასუხი მისცა. შენს მყუდრო ბინაზე, შენი სურვილების მიხედვით მოწყობილ ცხოვრებაში ვიღაცები უნდა შემოიჭრან! ეგ შეუძლებელია, დაუშვებელია!.. ძლიერ პიროვნების, რომელიც ღირსეულად იცავს თავის პირად „მეს“ არასოდეს არ შეუძლია ამ გზაზე შედგეს. ცოლი და საზოგადოდ ყოველი მეორე ადამიანი, რომელიც შენს გვერდით არის, შენი პირადი თავისუფლების შემბოჭველია. შენ მის ინტერესებს უნდა გაუწიო ანგარიში, შენი პირადი სურვილები ხშირად მის მისწრაფებასთან შესაბამისებელად უნდა შეკვეცო, სხვაფრივ ერთად ყოფნა შეუძლებელია. ცოლს ბავშვები მოყვება, ესენი ხომ სულ ერთიანად ჩაგითრევენ ლაფში და სრულიად წაშლიან შენს „მე“ს!.. მათი აღზრდა, პატრონობა!.. მათი კაპრიზისა და ჟივილ-ხივილა წინაშე თავის მოხრა!.. პირდაპირ საშინელებაა!.. ცოლშვილიანობას მოყვება სტუმრიანობა, მიმოსვლა... და ერთ მშვენიერ დღეს შენც ერთიანად გაითქვიფე ჭრელ ბრბოში!..

და... ლევანმაც თავი მიანება ყოველივეს, ცხოვრობს თავისთვის წყნარად: თავის ნებაზე სვამს, ჭამს, მიდის, მოდის არავის ანგარიშს არ უწევს, არავის თავის მოქმედებას არ უთანხმებს და უმორჩილებს... უბედურ სოფლის მასწავლებელს—რემანოზ დაშნაძეს კი ამ საკუთარი პიროვნებას გადაშლაში და ჯოგში გათქვეფაში ბედნიერებაც კი უპოვია!... ლევანს რასაკვირველია, არ შეეძლო ირონიის გარეშე შეეხედა ასეთ პატარა კაცისათვის...

V

ლევანი დაფიქრებული შეეიდა თავის ოთახში. ზანტად მიდო ქუდი და ჯოხი კუთხეში და ზანტადვე მიაპყრო თვალები რომელიღაც რაინდის სურათს, რომელზედაც საშინელი უკმეხობა და უტეხი ნებისყოფის ჩქეფა გამოიხატებოდა. დიდ ხანს უცქირა ლევანმა ამ სურათს და რამდენად უფრო ხანგრძლივად აცქერდებოდა, იმდენად უფრო მეტად ცოცხლდებოდა თითონ ლევანი და ამჩნევდა, რომ მის ძარღვებში მოდუნებული ენერგია თანდათან ღვიძებდა და ჩქეფას უმატებდა.

— ნეტავი შენ! ერთი შესძახა ბოლოს მან სურათს და მსწრაფლ დააკვდა სახეზე აღტაცების ღიმილი. მერე კი ნელი ნელა მოეშვა, მოდუნდა, მოითენთა და დიდის ხნის განმავლობაში ნამუშევარ ადამიანივით მოღვენთილი ჩაიკეცა სავარძელში... კვლავ ეუფლა სევდა მის სულსა და გულს, სულის მღრღნელი სევდა, რომლის გასაქარვებლად არა ერთი და ორი აგარაკი გამოუცელია. მას ისევ გადაეშალა შავ ფიქრთა გროვა და ღონე მიხდილი ჩაემხო ლოგინში.

— რა არის ჩემი სიცოცხლე, რის მაქნისი ვარ ამ ქვეყნად?.. კვლავ მოხსნა ლევანმა თავი მის ჩვეულებრივ აზრებს.

ეგონა, რომ ზღვაში ბანაობა გადაახალისებდა და ნერვებს დაუწყნარებდა, ფიქრობდა, რომ ახალ და სრულიად უცნობ პირობებში—ჯერ უნახავ ზღვის პირად სრულიად გარდიქმნებოდა და სავსებით გადახალისდებოდა.. აკი ასე ეუბნებოდენ ექიმები!.. პირველ ხანებში ეს მართლაც ასე იყო, ლევანს თითქოს დაავიწყდა თავისი წარსული, თითქოს დაუამდა მუდამ აფორიაქებული სული, დაუწყნარდა აღშფოთებული არსება... მაგრამ უცებ ირკვევა, რომ ლევანი ისევ ძველი ლევანია, ცხოვრების უკმაყოფილო, მუდამ მაძიებელი, მშფოთავი და მოუსვენარი, უიმედო, უსასოო... რომელსაც არავინ არ უყვარს, არავინ არ ენათესავება, არავინ არ სწამს და არც არავისი იმედი აქვს!

— კაცი დავბერდი აგერ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ ცოდვილ დედამიწაზე დავეხეტები და სულის სიმშვენე ვერ მიპოვია, ერთხელ რა არის ვერ მიმიყვანია ჩემი სულის გემი მყუდრო გუბეში,—ამოიგმინა ლევანმა და მართალიც იყო: უკვე ხანში შესული კაცია და ერთი გულითადი მეგობარიც კი არა ყავს, რომელსაც შეიძლებდეს გულწრფელად მიენდოს და თავისი გულისნადები გაუზიაროს... არც მან იცის სხვისაგან რაიმე და არც სხვამ იცის მისგან რაიმე.. სულ მარტოდ განვლო ამდენი მანძილი ცხოვრების გზაზე, არავისათვის ხელი არ გაუწოდებია, არავისგან დახმარება არ უთხოვია. ან კი ღირდა ვინმესათვის მიმართა? განა არის რომელიმე ადამიანი ამისი ღირსი? განა გაიტანდა ბოლომდის ლევანს ვინმე? ირგვლივ გაუტანლობა და ეგოიზმი მეფობს, ყველა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს, დიდი კაცი უპირველეს ყოვლისა დიდი გაიძვერაა; ლევანს ჯერ არ შეხვედრია ისეთი კაცი, რომელსაც ყოველის მხრივ დაეკმაყოფილებინოს იგი. გარდა უსაზღვრო ეგოიზმისა, ის ვერას ხედავდა ცხოვრებაში, მაღალ-ფარდოვან სიტყვების უკან ყოველთვის შავ საქმეს ხედავდა მისი დაკვირვებული თვალი. ამიტომ ლევანი გულდაჩრილი ჩაეფლო საკუთარ სულის უბსკერო კუნჭულებში. აქ უნდოდა მოეპოვებია სულის სიმშვიდე, დაევიწყა ამ სულიერი ამოება და სამარადისო შვება ეგრძნო თავისივე სულის განჭვრეტით... მყუდრო ცხოვრება, წიგნების კითხვა, ხელოვნების წალკოტებში მელანქოლიურად ხეტიალი, წყნარი სამსახური, მარტოობა და მხოლოდ მარტოობა—აი როგორ მიტბორავდა ლევანს ცხოვრების ნაკადული. ფიქრი ცხოვრების ამაოებაზე, ადამიანის არარაობა და სისაძაგლეზე, ზრუნვა საკუთარ თავზე, სულის დატკბობა, სხეულის შენახვა და ნებივრობა — გარეშე ამასა არაფერი არსებობდა ლევანისათვის. რა არის ცოდვილი, სხვაზე ზრუნვა-ყოველივე ეს რომ ბოლოს და ბოლოს უბრალო მიჩხვავა—ლევანმა არ იცოდა. ის ხანგრძლივის ფიქრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ქვეყნად პირადის უზრუნველყოფისთვის ხდება ყოველივე და თითონაც პირნათლად ემსახურებოდა ამ ცნებას. დამოუკიდებელი გრძნობით, დამოუკიდებელი აზრით, არსებობით—აი როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი ლევანს შეხედულობით. გარეშე ამისა ყოველი ადამიანი ქმულდა მას; სხვისი მსგავსი პიროვნება, საშუალო ადამიანი, რომელიც მონურად იხრის ქედს ტახტისა და საკურთხევლის წინაშე, ნელნელ იკოწიწებს პატარა ბედნიერების კოშკს, სხვას უცქერის, სხვას მისჩერებია. პირიქით ეზიზღებოდა მას. მას სწამდა მხოლოდ სული მაძიებელი, სული უკმეხი და მქუხარე, სული მიუკარებელი და ზეცას აწვდილი, სხვებისაგან გამორჩეული ორიგინალური. ამიტომ იყო, რომ მისი ბინა ყოველთვის შემკული იყო ძლიერ პიროვნებით, ეგოიზმით და მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანებით. რემანოზ დაშნაშეც ამისათვის არ მოეწონა მას, სხვების მსგავსი ეჩვენა, ინდივიდუალობას მოკლებულად, მასაში გათქვეფილად.

ასე ფიქრობდა ლევანი მრავალ წლის განმავლობაში, ასე ეძიებდა ის ადამიანთა ცხოვრების აზრს... ხანდახან ჰგონია, რომ თითქოს კიდეც იპოვა მან ეს ბედნიერება... მაგრამ... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამჩნევს, რომ არც ისე ბედნიერია, სულის სამუდამო სიმშვიდე ჯერაც ვერ მოუპოვებია სიტკბობა მისთვის ხანგრძლივი არ შეიქნა, მყუდრე ნავთსადგური მისი სულისათვის არ მოინახა. სხვათა ცხოვრების აზრის უარის მყოფელი და არარად მაღიარებელი, დიდისხნის წვა-დაგვის შემდეგ აშკარად დარწმუნდა, რომ თითონ მისი—ლევანის საცოცხლეც ფუჭი და უმიზნო იყო, უნაყოფო და ზედმეტი ბარგი, უსარგებლო და გამოუდეგარი.

— თუ ადამიანი საზოგადოდ პირუტყვია, ალბად მეც ასეთი ვიქნები, თუ ადამიანი საზოგადოდ არარაობაა, მეც ასეთ, უნდა ვიყო... მაშ მეც ზედმეტი ბარგი ვარ, ჩემი ცხოვრებაც უბრალო ჰაერის წამვლაა და მეტი არაფერი... ასე დაასკვნა ბოლოს ლევანმა და სამუდამოთ ეუფლა სევდა მას სულსა და გულს. აი ამ არსების დამცხრილავი და დამღრღნელ სევდის გასაქარვებლად იყო ლევანი აქ ჩამოსული. ეს შხამიანი ნაღველი, მის სისხლში და ნერვებში მომწამლავად გამჯდარი უნდა მოეშორებია ზღვის პირის ჰაერით და ბორიოთი, მაგრამ... ჰოი, უბედურებავ! ლევანი ისევ ძველ ფიქრთა შავსამოსელშია გახვეული, ისევ უიმედოდ კვნესის და გულის დამაამებელი არავინა ყავს... არც უნდა მას ყავდეს ასეთი ვინმე: მარტოთ იარა ამდენი ხანი და მარტო თვე უნდა ჩავიდეს საფლავში.

და მერე რა ძნელია საკუთარი სიცოცხლის გამოტირება, შენი საფლავის შენივე თვალებით ნახვა! ლევანი მთელი თავისი საცურავ პირადი „მე“-ს განსამტკიცებლად იღვწოდა, მედგრად ეძებდა ცხოვრებას ზღვაში ფეხის მოსამაგრებელ ადგილს, მთელის თავის გატაცებით ცდილობდა რომ ცხოვრების ველზე საკუთარი კვალი დაემჩნია, ორიგინალურის გზებით ევლო, არ ჩაეკლა თავის არსებაში სული ცხოველი და მაძიებელი, სული მჩქეფავი და მქუხარე... ამიტომ იყო, რომ თავი არ მოუხარა ზღვის უკმეხობას, რომელიც გაქარწყლებას უქადდოდა მის პიროვნებას, დამორჩილებას, დამონებას... დიახ, ლევანი მუდამ ლევანი უნდა ყოფილიყო, არ უნდა ყოფილიყო მისი სული დაშნაძის სულივით დაგეგმული და ერთხელ და სამუდამოდ გამოკოპიტებული...

მაგრამ... მაგრამ... ყოველივე სურვილად დარჩა და ლევანი დღეს დამსხვრეული გემის ნაფოტებზე დასცურავს ცხოვრების ზღვაში... ეს არის გაუცურდეს ნამსხვრევები და ლევანიც...

(დასასრული იქნება)

ვ. მალაქიაშვილი.

ვ. პლეტნევი

ფ ლ ე ნ გ ო*)

მეორე მოქმედება.

ფარდის აწევამდე.

ფარდა აიწია. კულისებში ისმის ზარბაზნის და თოფის სროლის ხმები.

დარბაზში ხალხში გამოირბენს ფლენგო.

ფლენგო—(სირბილში) იქ ისვრიან.. იქ კვდებიან... მაშ ისწრაფე ფლენგო ისწრაფე. (მობრუნდება) ჩქარა იმათთან!.. (ავარდება სცენაზე და მიიმალება).

ქალი—(გამოჩნდება სცენაზედ) ნეტავ სად არის ბატონი ტიებო? ოჰ, ღმერთო ჩემო! (ჩამოვა სცენიდან დარბაზში და გაირბენს მას) ბატონო ტიებო, ჩქარა მიდით იქ. ისინი აპირებენ თქვენ შვილობილის დახვრეტას, იქ საშინელებაა. მე მეშინიან, ვაი თუ ოფიცერმა ვერ შეიკავოს გამხეცებული ჯ. კაცები. თქვენი შვილობილი ბარიკადებზე იმყოფებოდ.ა

ტიებო.—(გაირბენს დარბაზს და სცენაზე ავა). (მიმავალი) ეგ შეუძლებელია, შეუძლებელია. (დარბაზში ბნელა. აიწევა ფარდა. იწყება მეორე მოქმედება)

სცენა: მოედანი ეკლესიის მახლობლად. დაბალი სამრეკლო, რომელიც მონგრეულია ზარბაზნის ყუმბარისაგან. ზედ მოსჩანს ჩამოხეული წითელი დროშა. ეკლესიის გარშემო მოწყობილია ბარიკადა, ზედ მიტოვებული თოფ-იარაღი. სურათი წარმოადგენს ბრძოლის შედეგს. ბრძოლა ეს არის ეხლა დამთავრდა, ვერსალის ჯ. კაცები თავისუფლად განწყობილან მოედანზედ. ზოგი წევს, ზის, და ზოგიც თოფ-იარაღს ჰკრებს ბარიკადასთან. ეკლესიის გასწვრივ, რომლის ახლოს მონგრეული ბარიკადა მოსჩანს, მიწაზე გდია რამდენიმე დახოცილი კომუნარი. იქვე შორი-ახლო ზის ოფიცერი. ჯ. კაცები აღელვებულნი არიან ბრძოლის გამო და ნერვიულობენ.

სერჟანტი—(ბარიკადებთან მოხეტიალებს) ყურადღებით იყავით. არ გაცოცხლდეს ვინმე. კომუნარებმა იციან ხოლმე გაცოცხლება.

ჯ. კაცები.

— გაცოცხლებული.

— ისინი სულ მთლად ჩაიხოცნენ

— ეგენი ძლიერ მედგრად შეხვდენ ბრძოლას.

— არც ერთს არ სურდა დანებება.

— და ეგენი მგონი უკანასკნელნი არიან.

— ვითომ უკანასკნელები?

— პარიზი ჯერაც არ დაცხრა.

— ჰო, მაგრამ სცხრება.

— ეხლა კი მოვისვენებთ

სერჟანტი—აბა, სამძა უნდა გააცილოთ დაჭრილები. სადაც არის ჭრილობების შეხვევას მორჩებიან, უნდა ვიშოვნოთ ორი ან სამი ურემი. (რამდენიმე ჯ. კაცი დგება და გადის)

ოფიცერი—(სერჟანტს) კიდევ თხუთმეტი წუთი და უნდა გავემგზავროთ. გაგზავნეთ თუ არა მოხსენება?

სერჟანტი—(გაჭიმული) დიაღ, გაგზავნილი გახლავთ.

ოფიცერი.—დასტოვეთ აქ დარაჯი. თავი მოუყარეთ მცხოვრებლებს და ბარიკადა დაანგრევინეთ. თქვენც აქ დარჩით და მერე დროზედ მომახსენეთ.

ჯ. კაცები.

— ეშმაკმა წაიღოს!

— ეს რა ამბავია? (გაკვირვებული არიან— ეკლესიის მახლობლად დახოცილ კომუნართა შორის ნელნელა აღიმართება ფიგურა, ეს ფლენგოა).

ოფიცერი—ეს რა ამბავია! ვინა ხართ?

ფლენგო—ეს მე ვარ ფლენგო!

სერჟანტი—როგორ გაჩნდი შენ აქ?

ფლენგო—მეც მათთან ვიყავი.

ჯ. კაცები

— მაშ ეგეც გვესროდა,

— ეგ ლაწირაკი.

ოფიცერი—შენ მშობლები გყაავს?

ფლენგო—არა.

ოფიცერი—რადა ხართ აქ?

ფლენგო—მე თქვენ გესროდით.. მე ვისროლე ათჯერ და აი ესეც... (სწრაფად იღებს თოფს ესვრის ოფიცერს. ჯ. კაცები მაშინვე წამოხტებიან. ერთი მათგანი სოლით უპასუხებს ფლენგოს, რომელიც უსულოდ ეცემა).

ოფიცერი.—(ტყვიამ მხოლოდ გაკაწრა. გადახტება გვერდზე) ფუი ეშმაკო! ეს ვინღა არის?

ჯ. კაცები.

— ეს ხომ ჯერ სულ ბავშვია.

— და უკვე უსწავლია ჩვენდამი ზიზღი.

— ბავშვებიც კი!...

— ჰო, ეს სიმკაცრეა...

— ვინ ესროლა?..

— განა სულ ერთი არ არის?..

ოფიცერი—(გააბოლებს პაპიროსს) გამენიც კი მაგათთან არის. სანკიულოტების სისხლი თავისას ამბობს. (ისინ ჯავს ტყვიით გაკაწრულ მუნდირს). საბედნიეროდ ჯერ კარგად ვერ უსწავლია სროლა

(ამ დროს სცენაზედ გამოჩნდება ტიებო, გაწეწილ თმებით და მეტად აღელვებული, აქეთ-იქით იცქირება).

სერჟანტი.—(ტიებოს) ვინ ხართ თქვენ და რისთვის მოსულხართ.

ტიებო—მე ვეძებ ყმაწვილს, ჩემს შვილობილს ის აქ უნდა იყოს...

(ოფიცერს) მითხარით რა უყავით მას?

ოფიც—რად კითხულობთ? ბავშვი თქვენია? თქვენ მამა ხართ მისი.

ტიებო.—არა... მაგრამ..

ოფიც. (შეაწყვეტინებს) მით უკეთესი თქვენთვის...

ტიებო.—რად არის მით უკეთესი ჩემთვის?

ოფიცერი.—იმიტომ, რომ ის გვესროდა ჩვენ... და...

ტიებო—(მიხვდა. გაოფებული) არა, თქვენ მაგას ვერ გაბედავდით... თქვენ ოფიცერი... ბავშვი...

ოფიც.—ინებეთ და შეხედეთ... (მიუთითებს ეკლესიის კიდეზედ. ტიებო სწრაფად მიბრუნდება და დაემხობა ფლენგოს. იმავე პოზით მიაჩერდება ოფიცერს).

ტიებო—ახლგაზრდა ოფიცერო... საფრანგეთის მეომარნო!.. (წარმოდგება) მხოლოდ, მშიშარნი ებრძვიან ბავშვებს და ხოცავენ მათ. ეს საზიზღრობაა, ეს გახრწნილობაა, რათა სვრით სამხედრო იარაღს... რა ჩაიდინეთ თქვენ უსინიდისო.. რატომ არ შეაჩერეთ თქვენი ჯ. კაცები?. რად დაგჭირდათ თქვენ სისხლი ბავშვისა?.. თუ დაგავიწყდათ, რომ თქვენ ხართ ოფიცერი... ადამიანი... მაშინ... მაშინ.. მე ოფიცერი საფრანგეთის ძველის ჯარებისა დაგახრჩობთ ჩემის ხელებით, რომ... რომ თქვენი საზიზღრობა ჩირქს არ სცხებდეს ჩვენს ძველს სახელს..

(მიიწევს ოფიცრისკენ)

ოფიცერი. (უკან დაიხევს) ეტყობა გაგიჟდა! (ჯ. კაცებს) წაიყვანეთ!

ჯ. კაცები. (მისცვივდებიან ტიებოს)

ტიებო.—მაშ მეც, მეც ეგრე მექცევით. მემოწშეს თქვენიხ საზიზღრობისა... მაგრამ იცოდეთ სისხლი ბავშვებისა ვერ წარიხოცება ისტორიით, ის ალაპარაკდება და აღმოხეთქავს თვით ჭაღარა მოხილ საუკუნოებშიც... (ჯ. კაცები ეწევიან ტიებოს) ისტორია, ხალხი, ბავშვები, დაგწყევლიან თქვენ უსახელოდ, არ მცნობნი თქვენნი. წყეულ იყავით, და წყეულ იყოს ვინც შეიქმნა ბავშვების მკლელი! (ტიებო უკვე კულისებშია) ბავშვების სისხლი მოუწოდებს მათ სამაგიეროს გადასახდელად და მაშინ მოიპოვება... (ხმა სწყდება)

ჯ. კაცები.

— წყეული ბებერი!

— ჩვენ მაინც არ უნდა მოგვეკლა ბავშვი

— ჩვენ მოვკალით კოჰუნა!

— მოვკალით ბავშვი!

— ბავშვების სისხლი!..

(ფარდა.)

*) დასასრული, იხ. ჩირაღდანი № 5.

მაღაროს მუშები.

ჩვენ სტიქიასთან ბრძოლაში ვკვდებით,
ჩვენთვის უცხოა მზე ნაზი, უხვი;
მიწის სიღრმეში შავი მუშები
ვშრომობთ, გზას ვიკვლევთ ჩირაღის შუქით.

შუქი ჩირაღის მკრთალად ანათებს,
ნივთები შავი და ფერმკრთალია,
ოფლი ასველებს ჩვენსა ხალათებს—
ჩვენ მძიმე შრომით ვსტკებით ძალიან.

ჩამოანგრევენ ლოდებს წალკები,
ძირს ყრუ ხმაურით მოდის ხანძარი,
რომ შევიყვარეთ ბრძოლა ანთებით.
უზარმაზარი მთები შევსძარით.

კუნთებს დასჭიმავს მძლავრი მოკნევა,
იფშვნევა მადანთ სალი-კედელი...
გასცილდა საზღვარს: „ქარა მოთმენა!“
და ქარს შემოაქვს ჰანგი მჭედელის...

ფ. ნარიუშვილი.

შავი მიზო

ესკიზი.

მყუდროებით მოცული ცის ლურჯი სივრცე ქარხნების საყვირთა დილის სიმღერამ გადასერა და გუკუნით მასწყდა თბილი სის მთების გადაღმა.

გამოიღვიძა ქალაქმა.

— დრავა, დრავა!

— მაწონი და რძე, მაწონი!

— სვეეეეი ბუბლიიიკი!

— ნახშ—უგლეეეი!

— კერასინ—ნაავთი!

— სამოვრის მიწაააა, სამოვრისა!

— სტარი ადიოჟ კტო ეს პროდაჟ!

— მწვანილი მოვიდა, მწვანილიიი!

— კავრი მიტ, კავრიიი!

გაისმა ქუჩის „ბულბულთა“ ჰანგები.

— საცა არის ბათენდება,

მუშავ, მუშავ, აღსდექ;

შენი შრომაც დაფასდება,

ნუ გძინავს შენ, ნუ ხვრინავ შენ.—

მიიმღეროდა ვიღაცა პატარა ბიჭი,

რომელსაც ზურგზე ფეხსაცმელების საწმენდი „დუქანი“—ყუთი წამოეკიდა.

— ძანგ! ოაკ! რუკ! ძანგ!

ისმოდა ჩაქუჩების მძიმე და მედგარი ხმა.

ეს იყო რკინის გზის მთავარ სახელოსნოს დგანდგარი.

სხვათა შორის ამ სახელოსნოში მუშაობდა ტფილისის მუშებში კარგად ცნობილი მიხა მჭედლიშვილი, რომელსაც მეტ სახელად „შავ მიხო“-ს ეძახოდნენ.

მეტად მდიდარი და პოეტური წარსული აქვს შავ მიხოს.

მისი ისტორია ცხრაასიან წლებიდან იწყება.

ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად ისახებოდა მუშათა განმანთავისუფლებელი მოძრაობის თესლი.

შეგნებულ მუშების რაოდენობა თითებზე ჩამოითვლებოდა.

ამ რიცხვში ყველაზე მოწინავეთ და ნდობა აღჭურვილათ ითვლებოდა შავი მიხო.

მისი რევოლიუციონური ტემპერამენტი ვერავითარ უსამართლობას ვერ იტანდა, რისთვისაც ბევრჯელ უგემნია სიმწარე.

მებრძოლი სულის მატარებელ შავ მიხოს პოეტური და სიმღერის ნიჭიცა ჰქონდა.

ის რომ სხვა გარემოებაში და სხვა პირობებში მოხვედრილიყო, უსათოდ ან დიდი პოეტი იქნებოდა, ან კიდევ სახელოვანი მომღერალი, მაგრამ მიხო მაინც არ ემდუროდა ბედს.

ის მუდამ მხიარული, მუდამ იმედიანი იყო.

არა ერთი და ორი შავი დღე გამოუვლია შავ მიხოს თვითმპყრობელობის დროს.

არა ერთხელ და ორჯერ უგვემნიათ და უწამებიათ მეფის ჯალათებს, მაგრამ ის მაინც გაუტეხელი, ამაყი და ქედ-მოუხრელი რჩებოდა. რა წამსაც სევდის ღრუბელი ეუფლებოდა მის ფიქრს, მყისვე შემოსძახებდა თავის საყვარელ რევოლიუციონურ სიმღერას და გაჰფანტავდა.

ლექსიცა და მუსიკაც მისივე საკუთრება.

გსურთ მოისმინოთ?

დაუგდეთ ყური:

დავძახოთ, ძმებო!

ჰეი, საყვარლებო,

სულით მედგრებო

და ლომ-გულებო!

შორს ჩვენგან მტრებო,

სევდის ღრუბლებო,

დაიგუგუნეთ

ბრძოლის ჰანგებო!

ძირს ორგულებო!

ძირს მტარვალებო!

დავძახოთ ერთად,

შრომის შვილებო!

სჭექდა ამ სიმღერას შავი მიხო და ლაჩრებსაც კი აღადგენდა სულით.

უცოლშვილო იყო შავი მიხო.

რომ ჰკითხავდნენ რატომ ცოლს არ ირთავო ასე უპასუხებდა:

ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო.

— ეჰ, რა ჩემი საქმეა ოჯახი. რისთვის ვიტვირთო სხვისა ცოდვა. მე ერთი ოხერი ბიჭი ვარ, ვინ იცის სად ამომხდება სული. ჩემი სატრფო—თავისუფლებაა. ვიდრე მას არ მოვიპოვებ, ოჯახს ვერ მოვეკიდები. რევოლიუციონერი თავის თავსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, არამც თუ ოჯახსაო, იტყოდა ხოლმე მიხო და მართალიც იყო.

როდი ხუმრობდა იგი.

ქალაქის ქუჩებში, პირველ დემონსტრაციის მეთაური შავი მიხო იყო.

ამისათვის მას არა ერთი და ორი ჭრილობა მიუღია მტრისაგან, არა ერთხელ და ორხელ გაუსტუმრებიათ ციხე-ციმბირისაკენ-მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, ყველგან და ყოველთვის „შავ მიხო“-თ რჩებოდა.

—

ასე მოაღწია მიხომ დღევანდლამდე.

დღეს მისი იდეალი, მისი ნანატრი თავისუფლება განხორციელებულია.

დაცოლშვილიანებული შავი მიხოც შრომობს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და მკერდ-გადაღეღილი დასძახის თვის მიერვე შეთხზულ ახალ სიმღერას:

დაჭკარ, დაჭკარ ჩაქუჩო!

შენც აყღერდი გრდემლო!

იგუგუნე, ქურავ,—

რაღა გვაქვს საცრემლო?

დაჭკარ, დაჭკარ, მედგრად,

გავახაროთ ჭერი;

ავაშენოთ შრომა,

დავაღორნოთ მტერი.

ასე მღერის შავი მიხო სამჭედლოში და ამ სიმღერასთან ერთად სჭედავს ბრწყინვალე მომავალს, საკაცობრიოს, საერთაშორისო შრომის სამეფოს.

გ. ქ.

წითელი სტუმრები.

I. ტფილისის ზეიმი.

საქართველოს დედაქალაქი, ჭაღარა ტფილისი, ზეიმობს...

მორთულა, მოკაზმულა მწვანე ხვეულებით, წითელი დროშებით და ელის...

ელის ძვირფასს სტუმრებს წითელ მოსკოვიდან, რუსეთის დედაქალაქიდან, საბჭოთა კავშირის ცაკის წევრებს, იმათ რომელთა სიტყვამაც უნდა განამტკიცოს კავშირი, ძმური კავშირი, რომელიც უკვე არსებობს ტფილისსა და მოსკოვს შორის, საქართველოსა და რუსეთს შორის...

ორი მარტი ისტორიული დღეა..

ათას ექვსასი წლის განმავლობაში მრავალი ისტორიული დღეები უნახავს ბებერ ტფილისს..

მთელ რიგ შავ დღეებთან ერთად მას უნაა ხავს ბრწყინვალე დღეებიც—გამარჯვება შემოსეულ მტერზე და ამ გამარჯვების დღესასწაული..

მაგრამ დღევანდელი დღესასწაულისთანა მას არ უნახავს... დღეს სულ სხვანაირი დღესასწაულია...

დღეს, 2 მარტს, 1925 წელს ის დღესასწაულობს ახალ გამარჯვებას...

საკავშირო ცაკის მესამე სესიის გახსნა ტფილისში—ეს უდიდესი გამარჯვებაა საბჭოთა საქართველოსი...

მთელი ქალაქის მცხოვრებნი სულ ქუჩაში გამოფენილან.

ქუჩები გაჭედილია მოზღვავებულ ხალხით.

დემონსტრანტების დენას ბოლო არ უჩანს.

წითელ დროშებს თვლა არ აქვს...

და ყველა ეს დროშები ქალაქის სხვა და სხვა კუთხიდან რუსთაველის პროსპექტისკენ მიიმართებიან.

წყნარად მიგორავს მთავარ ქუჩისკენ ხალხის ცოცხალი ტალღა...

II. მუშა ვანო ბიაშვილი.

მუშა ვანო ბიაშვილი გაჩქარებული მიდის კირკის ქუჩაზე.

— საით მიეჩქარები, ვანო?—კითხა სახალხო სახლთან მდგომმა ამხანაგმა.

— სტუმრების შესახვედრად!—უპასუხა ვანომ და განაგრძო გზა.

— დაიცა, ვანო,—გააჩერა ამხანაგმა,—რას გიხარიან იმათი მოსვლა, ისინი ბოლშევიკები არიან და შენ კი მენშევიკი ხარ...

— სრულიადაც არა ვარ მენშევიკი, პირიქით მენშევიკებისა მე არაფერი მწამს;—უპასუხა ცოტათი ნაწყენმა ვანომ;—მე მუშა ვარ.. სმშრომელი, ბოლშევიკი უნდა იყოს უეჭველად. მენშევიკები ამბობენ: ბურჟუებთან ერთად უნდა ვიმუშაოთ და მუშებისთვის სამოთხე შევქნათო... მითხარი, თუ ეშმაკი გწამს, ბურჟუა მუშისთვის თავს გაიცხელებს და იმუშავებს, რომ მისთვის სამოთხე შექნას?.. როგორ ჭკუათა მყოფელი იტყვის ამას?..

— ჰაი ჰაი, რომ ბურჟუა მუშისთვის თავს არ გაიცხელებს!—მიუგო ამხანაგმა.

— ჰოდა, შე ჩურჩუტო, რაღ უნდა ვიყო მე

მენშევიკი?—უთხრა ვანომ, მკლავში ხელი წაავლო და პლეხანოვის პროსპექტისაკენ გასწია.

— აბა მითხარი, რად უნდა ვიყო მე მუშა-მშრომელი, მენშევიკი?—არ სცხრებოდა ვანო.

— რა ვიცი, რად იყვნენ იმდენი მენშევიკები!

— იყვნენ, აღარ არიან, გაიგეს, რომ შემცდარ გზას ადგნენ და თავი მიანებეს მენშევიკობას... ყველა მუშა მენშევიკი მიხვდა, რომ მშრომელი ხალხის მხსნელი მხოლოდ ბოლშევიზმია, კომუნიზმია და სხვა არავინ...

— მართალი ხარ, ჩემო ვანო, ჩვენ სხვა ვერაფერი გვიხსნის, გარდა კომუნიზმისა!—მოუწონა ამხანაგმა და ვოგზლისკენ გაემართნენ.

III. მოსკოვის სალამი თბილისს!

მორთულ-გალამაზებულ რკინის გზის სადგურზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და გულის ფანცქალით ელოდა მოსკოველ სტუმრებს...

მოისმა მატარებელის სტვენა.

ხალხმა სული განაბა.

წუთიც და სადგურის წინ მოიკრა გუგუნგრიალით ცეცხლისმფრქვევი რკინის ვეშაპი...

მოვიდა მოსკოვის მატარებელი ძვირფას სტუმრებით.

— ვაშა! ვაშა!—შესძახა აღტაცებულმა ხალხმა.

ვაგონის ფანჯრებში გამოჩნდა მოღიმარი სახეები.

— წითელ მოსკოვის სალამი წითელ თბილისს! გაისმა ვაგონის ფანჯრებიდან.

ეს სტუმრები ესალმებიან თბილისელებს.

— ვაშა! ვაშა!..

— წითელი რუსეთი გულითად სალამს უძღვნის წითელ საქართველოს!

— ვაშა. ვაშა!..

— მოსკოვის წითელი პროლეტარიატი ესალმება თბილისის წითელ პროლეტარიატს!

— ვაშა! ვაშა! იძახის ხალხი.

— ვაშა! ვაშა!—იძახის ხალხთან ერთად ვანო ბიაშვილიც.

მაგრამ მისი ძახილი არავის ესმის.

ზღვა ხალხის ძახილში იკარგება მისი ხმა.

— რიკოვი, ჩიჩერინი, კალინინი, ბუდიონი!—ყველას პირზე აკერია, ყველა მათზე ლაპარაკობს.

IV ადერბაიჯანის სულთანი...

ვოგზლიდან შუა ქალაქისკენ მიჰქრის ავტობილები—წითელ სტუმრებს მიაქროლებს.

ქუჩაში თავმოყრილი ხალხი აღტაცებული აცილებს მათ.

— გაუმარჯოს წითელ სტუმრებს!

— გაუმარჯოს წითელ რუსეთს!—იძახის ხალხი.

— გაუმარჯოს პროლეტარიატს!

— გაუმარჯოს წითელ საქართველოს!—იძახიან შეხვედრით კმაყოფილი სტუმრები.

—

ხალხის ზღვა მიდის რუსთაველის პროსპექტისაკენ.

მიაფრიალებს წითელ დროშებს.

ნახულ გაგონილით კმაყოფილი ვანოც ხალხთან ერთად წყნარად მიაბიჯებს ვერის ხიდისკენ.

— ამხანაგო,—მიჰმართა მას მის გვერდზე მავალმა მოხუცმა მუშამ,—რას ნიშნავს ამ ცაკის წევრების ჩამოსვლა თბილისში?

ცაკის წევრების ჩამოსვლა იმას ნიშნავს, რომ საქართველო ისეთივე დამოუკიდებელი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში, როგორც რუსეთია... თბილისი კი ისეთივე დედა ქალაქია საქართველოსთვის, როგორც მოსკოვი რუსეთისთვის; მაშასადამე, როგორც მოსკოვში, ისე თბილისშიც უნდა იყოს საკავშირო ცაკის სესია...

— ეს ცაკი რაღა ჯანდაბაა?—იკითხა მოხუცმა მუშამ.

— ცაკი შემოკლებული სიტყვებია და ნიშნავს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ეს ცაკი არის მთელი კავშირის, რომელშიაც შედიან რუსეთი, საქართველო; სომხეთი, ადერბეიჯანი, უკრაინა და სხვა რესპუბლიკები. გარდა ამისა, არის კიდევ საქართველოს ცაკი და სხვა რესპუბლიკებისაც.

— მაშ ადრიბაიჯანში და კუკრაინაშიც თავიანთი ცაკები ექნებათ?

— როგორც ადერბეიჯანს, ისე უკრაინასაც თავიანთი ცაკები აქვთ...

— რა კარგია სწავლა!—თავის ქნევით წარმოსთქვა მოხუცმა:—ახლა შენ რომ არ შეგხვედროდი და შენგან არ გამეგონა, მე არც ცაკი ვიცოდი, არც შაკი, არც კუკრაინა, არც მუკრაინა; არც ადრიბაჯინი, არ შადრიბაჯინი...

— შორს არის ეგ ადრიბაჯინის ქვეყანა?—ჰკითხა მცირე სიარულის შემდეგ მოხუცმა.

— რკინის გზით დღე და ღამის სავალია,—მიუგო ვანომ.

— რას მეუბნები?!—გაიკვირვა მოხუცმა:—მაშ, ამბობენ ძალიან შორს არისო?!.

— ვინ ამბობს?

— რა ვიცი, აგრე გამიგია, ცხრა მთა და ცხრა ზღვა უნდა გაიარო ადრიბაჯინის ქვეყნამდეო...

— ცხრა ზღვა კი არა, დღეს რომ ჩაჯდე მატარებელში, ხვალ დილით იქ იქნები,—სიცილით მიუგო ვანომ.

— ვა! განა იქ მისვლაც შეიძლება?!

— რატომაც არ შეიძლება, ფულის საქმე არ არის, იყიდე ბილეთი, ჩაჯექი მატარებელში და წადი...

— მაშ რად ამბობენ, რომ მთელს ადრიბაჯინს გარშემო თუჯის კედლები არტყია, მისი პატრონი ზის ოქროს ტახტზე და შიგ არავის უშვებსო?...

ვანომ გულიანად გადიხარხარა და ჰკითხა მოხუცს:

— ვინა ზის ოქროს ტახტზე?

— იმ ქვეყნის პატრონი, ადრიბაჯინის სულთანი...

25 თებერვალი*).

იცით? რისთვის ეცინება დღეს ტფილისის ყოველ მხარეს,
დროშების ზღვა სისხლისფერი ამ დროს რისთვის იწევს ზევით,
თვითონ მტკვარი დღეს რათ ღელავს, დღეს რათ ჩქარობს და ხარხარებს?..
...საქართველო მართავს პარადს, საქართველო მართავს ზეიმს!

—

თებერვლის მზეს ლოყა ეწვის, თებერვლის მზეს უხარია...
საქართველოვ, ჩვენ ყოველთვის ვდეგვართ შენსა დარაჯებათ...
ო! დღეს ქართლის სიხარული ძლიერი და მქუხარეა,
ვით მონობის ქედზე მიკრული ამირანის გამარჯვება!

—

დღეს! ო დღეს, ვინ მოიგონებს მტრების რისხვას დაუნდობელს,
ეხ! წარსულის მოგონება მხოლოდ ცრემლი და სისხლია:
ბოლოს მაინც გადაურჩით „უხეშ ჩექმებს“ და „ურდოებს“,
ბოლოს მაინც „ქართლის ბედი“ მტრის ხელიდან დაგვიხსნია!

—

საქართველოვ, აწ ნუ გინდა გლოვის დღეებს დაედევნო,
შენს მიდამოს მოევლინა სხვა ბედი და მომავალი,
შენ დღეს ისევ უდრეკი ხარ, შვების ბალო და ედემო,
და მტრების წინ ისე დგეხარ, ვით თვეებში—თებერვალი!

—

ჩვენ აწ ვერვინ დაგვიმონებს: უზარმაზარ ლაშქრით მოვალთ,
მოვალთ შავად, მოგვაქვს რისხვა აზიური შემოსევით...
ჩვენ არავის არ დაუთმობთ ოქტომბერის მონაპოვარს,
წითელ დროშას მუდამ ვიცავთ და ვატარებთ მუდამ ზევით!

—

მოგილოცავ, საქართველოვ, დაბადების დიად ზეიმს,
გიხაროდეს, იამაყე სილამაზით, მთებით, გზებით...
გაუმარჯოს თებერვლის დღეს, კომუნიზმის ტალღათ გაშლილს,
გაუმარჯოს საქართველოს მუშების და გლეხთა კავშირს!..

ალიო ბუმერანგი (მაშაშვილი).

*) ეს ლექსი ავტორის მიერ წაკითხული იყო მოსკოვში აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის დარბაზში საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე

— არა, ძია-კაცო, ყველა ეგ ზღაპარია და მაგეთ რამეს ყური არ უნდა უგდო...

— რა ვიცი, მთელი ენგიდუნია ამაზე ლაპარაკობს...

— არავითარი სულთანი არ ჰყავთ ადერბეიჯანში;—მიუგო ვანომ:—ადერბეიჯანი ისეთივე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში, როგორიც არის საქართველო; როგორც აქ, ისე იქ ქვეყნის ბედ-იღბალს განაგებენ მშრომელი ხალხის გულშემატკივარნი, თვით ამ ხალხისაგან ამორჩეულნი ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში მართვა-გამგეობას სათავეში უდგანან მშრომელი კლასის მეგობარნი, და არავითარ სულთანს ან მეფეს ადგილი არ აქვს არც ერთ რესპუბლიკაში...

— აი, ცხონდა მამაშენი! —კმაყოფილებით წამოიძახა მოხუცმა:—ახლა კი ვიცი, რაშიაც არის საქმე! მე ძალიან კმაყოფილი ვარ მითი, რომ შენ შემხვდი და შენი ცოდნა მეც გამიზიარე...

ვანოც ძლიერ კმაყოფილი დარჩა ასეთი შეხვედრით; მას უხაროდა, რომ შემთხვევა მიეცა თავისი ცოდნა სხვისთვისაც გაეზიარებინა.

V. ნაძალადევის აღთქმა.

სტუმრები სასახლის წინ გამწკრივებულან.

იწყება დაუსრულებელი მსვლელობა მანიფესტანტებისა.

მუსიკა გუგუნებს. გაისმის „ინტერნაციონალი“.

მოდიან წითელი ლაშქრის ნაწილები.

ლაშქრის ნაწილებს მოსდევენ პიონერები. მათ მსვლელობას ბოლო არ უჩანს.

— გუმარჯოს ჩვენს საპატიო პიონერს ამხანაგ სერგოს:—იძახის ერთი პიონერთაგანი და მას იმეორებს მთელი ლაშქარი პიონერთა.

აგერ პიონერთა უკანასკნელი კოლექტივიც მოდის; მას წინ მოუძღვის ოთხი წლის ბიჭუნა. ამაყად გაივლის ის სტუმრების წინაშე.

ამის დანახვით ყველანი აღტაცებაში მოიმოდიან.

გაისმის დაუსრულებელი ტაშის ცემა და მხიარული ყიჟინა.

პიონერებს მოსდევენ კომკავშირელნი, მოსწავლე ახალგაზრდობა, მუშათა რაზმები.

აგერ რკინისგზელებიც, თბილისელ რევოლიუციონერთა სიამაყენი, რევოლიუციის ერთგული დარაჯნი...

მათ ღიმილით შესცქერის მოხუცი კალინინი, რომელიც ოცდა ხუთი წლის წინად განდევნეს თბილისიდან მეფის ჟანდარმებმა და მოაშორეს თავის საყვარელ ამხანაგებს, რომელთანაც ერთად ის მუშაობდა.

ახლა ოცდახუთი წლის შემდეგ, ის კვლავ ხედავს ძველ ამხანაგებს თავისუფალ საქართველოს დედა-ქალაქში; ხედავს მათ წითელი დროშით ხელში, იმ წითელი დროშით, რომლის წინაშეც ოცდახუთი წლის წინად დაიფიცა ნაძალადეველმა მუშამ და აღთქმა დასდო, რომ ამ დროშას, ადრე თუ გვიან, ის ააფრიალებს თავისუფალ საქართველოში!

და აი, აღსრულდა აღთქმული—
თავისუფალი საქართველო!..
წითელი დროშა!..

ფიცის მტკიცედ დამცველი, აღთქმას აღმსრულებელი ნაძალადეველი მუშა!..

ღიმილით შესცქერის კალინინი რკინის გზელებს და უხარიან, უხარიან, რომ ხედავს ის სიტყვას საქმედ ქცეულს...

— გუმარჯოს ამხანაგ კალინინს! – გაიძახიან რკინისგზელები.

— გუმარჯოს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელებს! —გუგუნებს ზღვა ხალხი.

— გუმარჯოს თავისუფალ საქართველოს მუშებს!—გაისმის პასუხად სახლის წინ ჩამწრივებულ სტუმართაგან და მათ ხმას უერთდება მოზღვავებულ ხალხის მხიარული ყიჟინა.

VI. გულნაკლული მზე.

კაშკაშა მზე, მხიარულად ესალმება მხიარულ თბილისს. ცოტა კიდევ და მოეფარება ამაყად წამომდგარ მთაწმინდას. მისი სხივები დღეს უკანასკნელად ეთამაზებიან მოდღესასწაულე, ქალაქს, მის წითელ დროშებს.

მას არ უნდა გაშორდეს მოზეიმე ქალაქს, მოზეიმე ხალხს. ის ჯერ არ გამძღარა ზეიმის ცქერით, მას უნდა ბოლომდე უყუროს, დასტკბეს არა-ჩვეულებრივი ზეიმით, დიდებული ზეიმით... მაგრამ ჰგრძნობს, რომ დროა მისი ქალაქთან გამოთხოვებისა; უკანასკნელ სხივებს სტყორცნის ის წითელ თბილისს და ზეიმით გაუმაძღარი ადგილს უთმობს მოახლოვებულ დაღამებას.

გულნაკლული მზე უხალისოდ ეფარება თბილისის განუყრელ დარაჯს—მთაწმინდის გორას...

გათავდა მანიფესტაციები. დღე ღამემ შესცვალა. მზის ნაცვლად ქალაქი გაანათეს მრავალფეროვანმა ცეცხლებმა.

დღის ზეიმით დამტკბარი ხალხი კი ისევ ქუჩაშია და სტკბება მრავალფეროვან სინათლის მზერით.

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

ბოლშევიკების შიში*)

(ნამდვილი ამბავი)

მიგვიყვანეს კომისარიატში, გლეხებიც თან გამოგვყვნენ იმ აზრით, რომ, თუ საჭირო დარჩებოდა დაემოწმებით, რომ ჩვენ არავითარი ზარალი არ მიგვიცია მამულის პატრონისათვის...

კამისარი იქ არ დაგვიხდა და ეს ღამე ტუსაღობაში უნდა გაგვეტარებინა.

ასეც მოხდა...

მეორე დღეს 12-საათი იქნებოდა ბატონი კომისარი ცხენით მობრძანდა. ძალზე შექეიფებული, ალბათ ნათლობაში თუ იყო. მილიციონერმა ცხენი ჩამოართვა. ბარბაცით, მათრახით ხელში პირდაპირ კანცელარიაში შემოვიდა და რომ დაგვინახა ჩვენ, მიუბრუნდა მილიციონერს და შეეკითხა: „ესენი არიან“? შემდეგ მოგვიბრუნდა და ბრძანებით გვკითხა:

ვინა ხართ თქვენნა?

— ადამიანები,—უპასუხა ჩემმა ამხანაგმა და თვალებში მიაშტერდა.

— ადამიანები კი არა ძაღლები ხართ. ცოფიანი ძაღლები, რომელთათვისაც ტყვიაც კი აფსუსია და ორივეს მათრახი დაგვიშინა.

მე ყველაფერი ვიცი. თქვენ ქურდობას გაბრალებენ, მაგრამ თქვენ ბალშევიკების გამოგზავნილი აგენტები ხართ, რაც უნდა სთქვათ მაინც თავს ვერ გაიმართლებთ.

მე ვეღარ მოვითმინე და გამწარებულმა მაღალის ხმით შევყვირე:

ბატონო კომისარო..თქვენ ადამიანის სახე გაქვთ და ნამდვილი მხეცი ყოფილხართ. დაფიქრდით რასა სჩადიხართ... ეს კაცი ავადმყოფია და რაღა ცემა ეპივრება. გრცხვენოდეთ... მაგგვარად მხოლოთ ნიკოლოზის კაზაკ-ჟანდარმები იქცეოდნენ.

ჩემმა სიტყვებმა ის უფრო გაამხეცა და ცემას უმატა. შემდეგ დაჯდა თავის ალაგას, კალამს ხელი მოჰკიდა, რომ ოქმი შეედგინა.

ამდროს შემოვიდა ჩვენი ნაცნობი მემამულე თავადი და ძმის შვილს გვერდზე მოუჯდა.

რაში ამტყუნებთ ამათ,—შეეკითხა კომისარი თავადს.

— იმაში, რომ ესენი ჩემ ზვარში დაიჭირა ჩემმა მოურავმა, დანარჩენიც ხომ წუხელ გელაპარაკე...

— ძალიან კარგი,—შემდეგ მოგვიბრუნდა ჩვენა და დაცინვით გვითხრა:

— აბა მობრძანდით აქეთ „ამხანაგებო“ და გვაჩვენეთ თქვენი პირადობის მოწმობა.

მე დაუფიქრებლათ და ბრაზმორეულმა უთხარი:

თქვენ ბატონო კომისარო ნუ აქუქყიანებთ. მაგ წმინდა სახელს. ჩვენ შენი ამხანაგები არა ვყოფილვართ არც გვინდა ვიყოთ. გაბრაზებულმა მათრახს ხელი წაავლო და წამოიწია, მაგრამ თავადმა აღარ გაუშვა.

ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი ქარხნებიდან მოცემული მოწმობები, საჩქაროდ გადაათვალიერა და წინ დაიწყო.

მერე მოგვიბრუნდა და უფრო რბილათ გვითხრა: მე ვხედავ რომ თქვენ მართლა ქურდები არა ხართ, მაგრამ როგორც ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიის მიერ გამოგზავნილ აგენტებს მე თქვენ გაპატიმრებთ და ხვალ დილითვე თბილისს გაიგზავნებით.

კამისარი ოქმის წერას შეუდგა. მიმამულეც წამოდგა ერთი კიდევ გადმოგვხედა გამარჯვებულის სახით და გავიდა.

ჩვენ ველოდით კომისარის განკარგულებას, მაგრამ მას უცებ კალამი ხელიდან გაუვარდა, კისერმა თავის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო შუბლი მაგიდას დაახალა და ისევე დარჩა.

კომისარს უკვე ეძინა...

მილიციონერმა ხელით გვანიშნა და მეორე ოთახში გაველით.

ამხანაგებო, მე მინდა თქვენ ერთი რჩევა მოგცეთ. ისეთი, რომ დღესვე აქედან განთავისუფლდეთ. მანამ მთვრალია შეგიძლიათ შემთხვევით ისარგებლოთ. თორემ თუ ვამოფხიზლდა მერე უფრო საქმეს გაგიძნელებთ. ეგ ცოტა ფულის მოყვარული კაცია და თუ გაქვთ მიეცით რამე და დარწმუნებული ვარ ეხლავე გაგიშვებთ აქედან.

ჩვენ ორივემ ერთმანეთს შევხედეთ და უსიტ-

*) დასასრული, იხ. „ჩირაღდანი„ № 4.

ყოთ მიუხვდით აზრებს, რომ სხვა არაფერი საშუალება არ არის ამ მხეცებისაგან თავის გამოხსნისათვის.

ორივემ თითქმის ერთ დროს შეეკითხეთ თუ რამდენს დაგვჯერდება, რომ, მივცეთ.

— მაგას ეხლავე გავიგებ, პატარა ხანს მოძითმინეთ.

მილიციონერი გავიდა და ჩვენ მარტონი დავრჩით, ჯიბეები გავისინჯეთ და ვნახეთ, რომ ორივეს სიმდიდრე სულ ხუთას თუმანს შეადგენდა. და თუ ამას დაგვჯერდებოდა მაშინ მატარებლის ფული აღარ გვრჩებოდა

მილიციონერი მიუახლოვდა კომისარს, რის ვაი ვაგლახით, გააღვიძა, რაღაც დაბალი ხმით ელაპარაკა და მცირე ხნის შემდეგ ჩვენც დაგვიძახა...

— რამდენი გაქვთ ფული? პირდაპირ და უსირცხვილოთ შეგვეკითხა.

ჩვენ ორივემ ამოვიღეთ და რაცა გვქონდა წინ დაუწყეთ.

— ამაზე მეტი არა გვაქვს ჩვენი საცხოვრებელი და მატარებლის ფულიც სულ ეგ არის.

მაშინვე ხელი წაავლო და სთქვა:

—ცოტაა მაგრამ არა უშავს. თქვენ შეგიძლიანთ ნელ-ნელა ფეხით იაროთ თბილისამდინ; გაგიშვებთ მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ხვალვე მოშორდეთ ამ სოფელს. შეგიძლიანთ წახვიდეთ, მხოლოდ არსად არაფერი არა სთქვათ, თორემ, სადაც არ მელოდეთ იქ გაგიჩნდებით...

ჩვენ არაფერი უპასუხეთ და ისე უსიტყვოთ გამოველით კანცელარიიდან. ფულები ჯიბეში ჩაიწყო და იქვე კუშეტკაზე გაიშხლართა და ხვრინვა ამოუშვა. გარეთ კი გლეხები ელოდნენ, რომ ისინი მიეღო და მათი საჩივარი გაერჩია. სხვათა შორის ჩვენი ნაცნობი გლეხებიც მოსულიყვნენ და რომ დაგვინახეს გამოსულები სხვებს გამოეყვნენ და ჩვენ გამოგვყვნენ, როდესაც გაიგეს საქმის გარემოება ძლიერ დაღონდნენ და მაინც გვთხოვეს, რომ ამ დღეს მათ ოჯახში პურმარილი გვეჭამა. მაგრამ ჩვენ უარი უთხარით. მხოლოთ ჩავიწერეთ მათი გვარი და სახელი და გამოვეთხოვეთ.

მოველით ჩვენ ბინაზე და ახლა იმის ფიქრს შეუდექით, თუ სად ვიშოვნოთ ფული, რომ დავბრუნდეთ თბილისში. ვიფიქრეთ ბევრი და გადავწყვიტეთ, რომ გავყიდოთ საბან-ბალიში და ჩვენი ძველი პალტოები.

თქმა და ასრულება ერთი იყო. გავყიდეთ რაც გვეპადა და მეორე დღეს საღამოს შვიდ საათზე თბილისში ვიყავით.....

ერთი კვირის შემდეგ ჩემი შვებულების ვადაც გათავდა და მე დავბრუნდი ისევ სამუშაოთ. მაგრამ ჩემი ამხანაგი კი აღარ დაუშვეს ქარხანაში, ვიდრე ჯანის სიმრთელის მოწმობას არ მიიტანდა ექიმისაგან. ექიმმა მოწმობა მისცა, მიუტანა ქარხნის ხაზეინს და როცა მან პაკეტი გახსნა და წაიკითხა, უცებ წამოიძახა:

— Туберкулез! ეხლა კი სრულებით არ შეიძლება შენი ქარხანაში შეშვება, რადგან ჩემთვის საჭიროა ჯანმრთელი და არა შრომის უნარ დაკარგული მუშა, და თუ ოდესმე მორჩები მაგ სნეულებიდან, შეიძლება კიდევ მიგიღო სამუშაოთ.

— მაშ რა უნდა იყოს ჩემი ცხოვრების სახსარი? როგორ უნდა ვარჩინო ცოლი და შვილი?

— ეგ ჩემი საქმე არ არის,—უპასუხა ამაყად ბურჟუამ. ჩვენ მოვალე ვართ მაშინ, როდესაც შრომის ძალ-ღონე გაქვს და ჩემთვის მუშაობ. და როცა ეს აღარ გაქვს, მაშინ შენისთანებს ბევრს ვიშოვნი.

შემდეგ მიუბრუნდა უფროს ბუხგალტერს და უთხრა:

— მიეცით ორი კვირის ჯამაგირი და ხელწერილი ჩამოართვით, რომ ჩვენთან აღარაფერი საქმე არა ჰქონდეს,—და გაბრუნდა.

ამგვარათ 15 წლის ნამუშევარი მუშა ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორა...

გაიარა ამ დღიდან 6-მა თვემ და ამხანაგის ჯანის სიმრთელეს უკეთესობა არ ეტყობოდა, მის სნეულებას შიმშილი და ცოლშვილის დარდიც მოემატა, გაუჭირდა ცხოვრება და თუ გააჩნდა რაიმე სახლში, გაყიდა და როცა ესეც შემოელია, ცოლმაც დასტოვა და თავის ყმაწვილებით მშობლებთან გადასახლდა ამგვარათ დაკარგა ერთი თავშესაფარი ბინაც და დღეებს ქუჩაში აღამებდა.

გაიარა ზაფხულმა და ზაფხულის ადგილი დაიკავა ცივმა და სუსხიანმა ზამთარმა. შემოაცვდა ტანზე და ფეხსაცმელი და ნახევრად შიშველი მიადგებოდა ის ყოფილ ხაზეინს მოწყალებისათვის, მაგრამ თითქოს ის არა ცნობდა, თითქოს მან თავის ყმაწვილკაცობა, თავის შრომის ძალ-ღონე მის სიმდიდრე-ბედნიერებას არ შესწირა.

* * *

1921 წელი 25 თებერვალის შემდეგ მუშებმა თავისუფლად ამოისუნთქეს; აქამდის დამონებულ და დამუნჯებულ მუშებმა, დაინახეს ყოველგვარი უსამართლობა, შეიარაღდნენ ცოდნა-შეგნებით და უცებ პირქვე დაამხეს ბურუა კაპიტალისტების ბატონობა და ამ დროს არც თავიანთ უბედური ამხანაგი დაივიწყეს. ის მოათავსეს ერთ საავადმყოფოში. მაგრამ გვიანღა იყო. ის უკვე ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდა და მალე გაწყდა ძაფი. მისი მრავალ ტანჯულ სიცოცხლისა: ერთ დღეს ამხანაგებმა ის წითელი დროშებით სამარემდინ მიაცილეს!...

მუშა ალ. ბ—შვილი.

ოქტომბრის გმირი.*)

(ლეგენდისებური).

ელექტროს შუქი აფერადებს ძველი სასახლის მოჩუქურთმებულ კედლებს... თავდავიწყებას ეძლევიან რჩეულთა ლეგიონები...

სევდა-კაეშანი არ სცილდება უსინათლო ქოხებს...

„ისტორიულ“ უღელ ქვეშ იზნიქება ბედით განწირული მშრომელი...

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“

გადიან საუკუნეები, მაგრამ მაინც არავინ სჩანს. .

ერთი განცხრომაშია, სიცოცხლეს ეწაფება...

მეორე, მონობაში აღზრდილი მონობაშივე კვდება...

როდის დადგება განთავისუფლების დღე?...

???

ღმერთმა დააწესა ჩვენი ბატონობა...

ზეგარდმო მირონცხებით მოვევლინეთ ჩვენ ქვეყნიერებას...

მუშამ უნდა იმუშაოს, ჩვენ უნდა შევექცეთ, ასეა დადგენილი თვით უმაღლესი კანონის მიერ...

როდის იქნება მუშის საშველი? არასოდეს!

მუშა ყოველთვის მონა-მორჩილი უნდა იყოს...

ასეთია თვით მეფეთა-მეფის სურვილი...

ასეთი აზრის არიან თავის თავზე სისხლის კედლებში...

* * *

ნაცრის ფერ ღამეში მოევლინა იგი ძველ სამყაროს...

დაჩაგრულებმა იგრძენეს მისი მოსვლა, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ...

მოსულა, მოსულა! გაისმა შემზარავი კივილი სასახლეში...

გაიცა ბრძანება ახლად დაბადებულთა გასრესის შესახებ...

გაანადგურეს მუშათა უბნები... რას მიხვდებოდენ თუ მათი მტერი ინტელიგენტის ოჯახში დაბადებოდა... მშრომელთა მოციქული გადარჩა...

რამდენი დედა აატირეს შვილის მოშორებით...

ზღვის ტალღებს შეუერთეს უდანაშაულო ბავშვები...

* * *

ჭაბუკი მომწიფდა ომის გასაჩაღებლად...

ჩაგრულნი აიშალენ ბატონების წინააღმდეგ...

პროლეტარიატის მეთაური გააფთრებული დატრიალდა...

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ ათეული წელი გასტანა...

უეცარი ღალატის სუნი დატრიალდა... მეთაურთან მოსულებმა სასახლეებს მიაშურეს და მტერს შეუერთდენ...

მოძმეთა ღალატი ყველა დამარცხებებზე უფრო მწარე გამოდგა...

მაგრამ...

ფერ დაკარგულ შემოდგომის დღეებში უშიშარმა მხედარმა საშინელი ჯანყი დაატრიალა...

და...

მოვიდა წითელი ოქტომბერი საუკუნოების გამძლეობით...

შალვა გოგაართილი.

*) ეს მასალა აწყობილი იყო და უნდა წასულიყო „ჩირაღდანი“-ს № 5-ში, რომელიც 18 მარტს გამოვიდა, მაგრამ უადგილობის გამო გადაიდო.

ჩვენი მეეზოვე

1.
ჩვენი მეეზოვე ..
სახე გაყვითლებული...
თვალებ ჩაცვენილი...
გამხდარი...
კიკინე აწეწილი...
დიადი მეეზოვე...
ჩვენი მეეზოვე
დილდილობით 4 საათზე
ამდგარი, მაგრამ
ჩაყვითლებულ თვალებიდან მაინც
იმედიანად გამომყურე...
რაღაც ძალ-ღონით სავსეს
მიდიხარ უყურებ...
ის ოცნებობს ცაზე
ჩვენი მეეზოვე...

2.
ამ დილით ჩვეულებრივ
ოთხ საათზე დგება ..
ნესტიან შიწურ სარდაფში
ისევ ბნელა,
ბნელა. ბნელა...
ჩვრებში გახვეულ ბავშვებს
მზრუნველობით გადახედავს.
გაიხარებს.
გაახსენდება ქმარი,
სადღაც შორს ტუნდრებში მკვდარი.
გაახსენდება წარსული
ვით ავი-სული
სისხლის და ცრემლის
სიმშილის და უბედურების...
გაახსენდება აწმყო
მზეს ოქროს სხივებით
და ლალის საყურეებით
გაახსენდება და,
უყურებს ძას თვალებში
პირდაპირ, პირდაპირ
და...
ოცნებობს მომავალზე...

3.
ჩვენი მეეზოვე
ამ დილით, ჩვეულებრივ
დგება...
თავი უხურს...
სიცხე აქვს...
კვლავ ჩვრებში გახვეულ
ბავშვებს შესცქერის:
ოდნავ მოსჩანს
დღის სინათლეზე:
ორი—გამხდარი სახე—
სივაგლახე...
შეცქერის მათ და,
მწარე ფიქრები
სულს უწეწენ
თავზე ესხმიან...
ჩვენი მეეზოვე...

4.
სარდაფიდან ამოდის...
დიდი ხის ცოცხი
ხელში უჭირავს...
ფართოა ქუჩა
შავი სიცოცხლის...
ჩვენი მეეზოვე...
გვის, წმენდავს ქუჩას
გამხდარის ქალის
სილუეტი
გამოსჩანს ლურჯათ
და დილის ნისლში
იმალება და იწმიდება
ქალაქი შიშის.
ჩვენი მეეზოვე
მუშაობს ურჩათ...

5.
მოქალაქე! კოპწიად ხარ
გამოწყობილი...
მოდიხარ... ტროსტს
მოათამაშებ
ბედით კმაყოფილი
მღერი რაღაც შაირებს
უცქერი ჩვენი მეეზოვეს
ძიერ დაგვილ ქუჩას და ..
გიხარია, გიხარია

6.
მოქალაქე! შენი სული
ბარბაროსული
ცივილიზაციის მორჩილი
მონა:
დღეს პეპელასავით
დაფარფატებს ამ სუფთა
ქუჩებს და...
გიხარია, გიხარია...

7.
მოქალაქე!... ხარ ამაყი
ქალაქის ზვიადობით და
თავდავიწყებაში გადაქსოვილი
დასდევ ქალაქის
ვნებიან ზვირთებს...
სიცოცხლის მზეზე
შეყვარებული:
შესტრფი პროსპეკტებს და...
გიხარია, გიხარია...

8.
მოქალაქე!
აი, იმ სარდაფთან
გავლის დროს
დახუჭე თვალები...
დახუჭე თვალები,
რომ არ დაინახო
ჩვენი მეეზოვეს
ჭუჭყიანი და
ნესტიანი სარდაფი:
სივაგლახე...

9.
მოქალაქე!
დახუჭე თვალები,
რომ არ დაინახო
ჩვენი მეეზოვეს
გამხდარი და გაყვითლებული
სახის პროფილი...
დახუჭე თვალები,
რომ არ დაინახო
ჩვენი მეეზოვეს
დახეთქილი კანის
ნაკვეთები...
დახუჭე თვალები,
რომ არ დაინახო
ჩვენი მეეზოვეს
შიშველი და,
მარად მშიერი
შავი ბავშვები.

10.
ჩვენი მეეზოვე!
არის მტკვრის
ნაპირს გარიყული
ფენომენება.
მაგრამ ამაყია და...
იბრძვის და იბრძვის
ბოროტებას არ
ემონება...
წამს გამარჯვება
წამს მამავალი
და არავის მოწყალებისთვის
არ ეაჯება...
თუმც გამხდარი
გაყვითლებული
მაგრამ იმედით
აღვსილი და გაკაჟებული
ჩვენი მეეზოვე.

პეტრე სამსონიძე.

---

* * *

მე მახსოვს ქალი ნათელ თვალება,
ისსიბნელეში კრთოდა ვით სხივი,
მე მახსოვს ღამის იდუმალება
სიზმარეული ქალაქი ცივი.

სიჩუმის ფრთები იყო მტანჯველი
სიკვდილს აღწევდენ სასახლეები,
უდაბნოს ჰგავდა ქუჩები ბნელი.
ასე ვიდოდა შავი დღეები.

მაგრამ გამოჩნდა ზღაპრული ჰუნე
ბებერ ქვეყანას დასცა გრიგალი,
დაინთო ცეცხლი ხმა მოგუგუნე
ცა აყვავილდა მეწამულ ალით.

გამოდის ქალი ნათელ თვალება
და გაზაფხულის გვიძღვნის ყვავილებს,
დიდება ზეცას, მის ბრწყინვალებას
თვალი იმედებს აწ არ დაილევს.

ვ. ალექსანდროვსკი.

რევოლიუციონერის ნიღაბ ქვეშ.

(1905 წლის რევოლიუციიდან).

ჭიათურის მაღაროებში უჩვეულო მოძრაობა იწყება...

სამუშაოდან სამუშაოზე გადადიან კენტ-კენტა მუშები და ჩუმად მსჯელობენ...

ნესტიან სარდაფში მზადდება საიდუმლოებით მოცული ფურცლები... ნერვიულობა დაეტყო მთელ ქალაქს...

— ნეტა რა ხდება?—კითხულობს ჩვეულებრივი მომაკვდავი.

— რა უნდა მოხდეს, მე შენ გეტყვი ნიკოლოზი არ ჩამოაგდონ! ირონიით უპასუხებს ღიპიანი სირაჯი...

დაბნელდა...

ბურუუაზიულმა სამყარომ ოქროსფერი ძილით ამოისუნთქა...

მარტო თხელიძის პურ-მარილიანი რესტორანი აღვვევს სიჩუმეს... კაბინეტებში ტრადიციული გაქნებით იცლებიან კვარტიანი ყანწები...

აგერ, ხრინწიანი ხმით აუკიდეს ცეტური მრავალჟამიერი...

— გაუმარჯოს იმერეთის წითელ სისხლიან მოდგმას!—სვამს სადღეგრძელოს მოსირმული ჩოხიანი...

— ყოველთვის ჩვენი მონა-მორჩილნი უნდა იყვნენ ღორის ქონში მოზელილი გლეხკაცობა! —მედიდური კილოთი ათავებს „ტახტის“ აზნაური...

შემოაქვთ ცვრიანი წვადები და ქეიფი გრძელდება...

***

რგანის მაღაროებში არის დანიშნული მუმუშების კრება...

— ნეტავი რა მოხდა ამ შუა ღამისას რომ გვიბარებენ? კითხულობს მოხუცი მუშა...

— როცა მივალთ მაშვინ გვეტყვიან! უპასუხებენ ამხანაგები...

მუშების დენამ იკლო...

— აღარავის ელით? იკითხა უცნობმა სტუმარმა...

— აღარავის, ყველანი აქა ვართ, წყნარად ჩაილაპარაკეს...

— ამხანაგებო! ფარულ კრებას გახსნილად ვაცხადებ, გთხოვთ დაასახელოთ თავმჯდომარე...

— გიორგი, გიორგი, გაისმა ერთხმათ.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჭიათურის უძველესი მუშა ამხ. გიორგი...

მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა უცნობ ადამიანს...

და...

პირველად გაიგონეს რევოლიუციის დასაწყისი...

— გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! დაათავა სტუმარმა...

რევოლიუციონერმა აღტყინებამ დაიუფლა შავი ჭიათურა...

წითელმა ფერებმა დაჰფარეს ზემო იმერეთი...

აღფრთოვანდენ ქოხები...

ძაძით შეიმოსენ სასახლის კედლები...

შურისძიებას ადგილი არ ქონია...

საუკუნოებით ტანჯული ხალხი იმდენათ მომომენი და გულჩვილი გამოდგა, რომ არაფრით არ გადაუხდია ის ტანჯვა და მუდმივი დაცინვა, რაც მათ გავლილი ქონდათ თავადაზნაურთა შიერ...

ხელუხლებელი დარჩენ მათი სასახლენი...

— მეც თქვენი ვარ, საშინლად მეზარება ხელმწიფე და მისი აგენტები, მიმიღეთ თქვენ წიაღში, ენდვეთ ჩვენ პატიოსან სიტყვას და გამომიყენეთ რაშიაც გენებოთ—განუცხადა მუშების წინამძღოლს ერთმა აზნაურმა ახალგაზრდამ...

— რას იტყვით ამხანაგებო, გაქვსთ რამე საწინააღმდეგო, რომ ჩვენს რიგებში იყოს მოქალაქე ნიკო? მიმართა მუშებს წინამძღოლმა...

— საწინააღმდეგო მე მაქვს, რადგან არა მგონია ბოლომდე გამოგვყვეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ფუფუ-ფუნებაში გაუტარებია,—განაცხადა ჭაღარა მუშამ.

ნიკო მიიღეს სრულუფლებიან ამხანაგათ და გაუზიარეს რევოლიუციის ყველა საიდუმლებანი...

***

განვლო სანეტარო დღეებმა. .

ხანმოკლე გამოდგა მუშური აღმოფრენა...

რეაქციის ცეცხლმა წიფის გვირაბამდე მიაღწია...

იმერეთის რევოლიუციონური თაობა ცეცხლიან გურულებთან ერთად გვირაბის თავზე აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას...

ნიკო სად არის იკითხა ჭიათურელმა მოხუცმა მუშამ, იმ მუშამ, რომელიც მისი მიღების წინააღმდეგი იყო...

ნიკო სამი დღეა რაც აღარა სჩანს, ალბათ გვიღალატა იმ უსინდისომ—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გიორგიმ... ყაზახების მათრახებმა და მრავალ რიცხოვანობამ უკუ აქცია თავდადებულ რევოლიუციონერთა შეშცირებული გუნდი...

რამდენი ცეცხლიანი რევოლიუციონერი დაეცა მტრის ცხელი ტყვიით!..

რამდენი დედის ცრემლი დაიღვარა შვილის სამუდამო მოშორებით!..

ჩაიფერფლა რევოლიუციის აღტყინება...

სევდა წუხილმა დაჰფარა ყოველთვის უსინათლო ქოხები... ცისკარმა შეანთა ძველ სასახლეთა ფანჯრებში...

ძველებურად გაისმა მათრახის ტკაცა ტკაცი...

წამოვიდა უსაშინელესი რეაქცია...

ალიხანოვშჩინამ გადასწვა იმერეთის დაბა-სოფლები... თავდადებულ შებრძოლთა თავები კვირაობით ეკიდა ღობის სარებზე...

სუდარაში გაეხვია მუშათა მოძრაობის აკვანი—დაბა ჭიათურა.. ყველა მოწინავე მუშები ციხის სარდაფებში ჩაყარეს...

— შენ იყავ თუ არა მუშების წინამძღოლი? —ეკითხება ჟანდარმი გიორგის...

— არა მე მუშებს არც კი ვიცნობ...

— შენ არ იცნობ გიორგის? ეკითხება ჟანდარმი ახალგაზრდა მუშას...

— არა...

— არც შენ?

— არც მე...

— ურიადნიკო! აბა დაუძახეთ ნიკოს!...

ყველას თავზარი დაეცა...

გაგვცა, გაგვცა—გაიფიქრეს...

ნიკო შემოდის პრისტავის ფორმაში და ხელში დაგრეხილი მათრახი უკავია...

— ო, ო, ო, რევოლიუციონერებს გაუმარჯოს, რევოლიუციონერებს! დაცინვით მიმართა გიორგის და მის ამხანაგებს...

— იცნობთ ბატონ ნიკოს? ეკითხება გიორგის ჟანდარმი... დამალვა აღარ შეიძლება...

— დიახ ვიცნობ მაგ არამზადას, მართალი იყვნენ ჩემი ამხანაგები, როცა მაგას არ ენდობოდენ, მაგრამ ჩემი ბრალი იყო რომ მივიღე ჩვენს რიგებში. ადვილი შესაძლებელია მაგისთანა იუდა კიდევ გამოჩდეს ჩვენში, მაგრამ მუშათა კლასს ერთეულები ვერ შეაშინებენ, ჩვენი ოჯახი მაინც ქკიტკირიეთ იქნება...

მე ვარ მუშების მეთაური, მე ვამხედრებდი პროლეტარიატს თქვენს წინააღმდეგ, მაწამეთ, მტანჯეთ, მაგრამ სრული დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დრო როდესაც გამარჯვებული მუშათა კლასი თქვენისთანა და ამ იუდასთანა ვაჟბატონებს თავს გაგისრესენ...

მე აუღელვებლად ავალ ეშაფოტზე და უკანასკნელ სიტყვაში მოუწოდებ მუშათა კლასს გაერთიანებისაკენ...

ჟანდარმებმა გიორგი ნიკოს გადასცეს...

გამცემმა დახვეული მათრახის ცემით დაიწყულა გიორგის სხეული, მაგრამ ვერაფერი ათქმევინა...

ფეხებით დაკიდეს ძველი რევოლიუციონერი...

რამდენიმე საათში გათავდა მუშების მეთაური...

ნიკო წაუძღვა რეაქციას სოფლებში და ყველა ქოხები ააწიოკა...

ჩინებით დაჯილდოვეს ნიკოს გულმკერდი...

ჭიათურის მუშები ეძებდენ დროს სამაგიეროს გადასახდელად...

და...

წითელი ვაშლი გაგორდა ნიკოს ფეხებში... ათას ნაწილად დაიწიწკნა მოღალატის სხეული...

და...

ლავრენტი მახარაძის პროცესზე მოიგონეს არისტოვ ნიკო ნემსაძის საგმირო საქმენი...

შ. გ.

რკინის ყვავილები.

არა უნაზეს ვარდთა ტრფიალში
სადაც მზის სხივი ლურჯად ღიმის,
არამედ ქარხნის ველურ გრიალში
ვჭედავდი მაგარ ყვავილებს რკინის.
არც მზის სხივები სამხრეთის თბილის
და არც სინაზე გაბადრულ მთვარის—
იქ იყო მხოლოდ ცეცხლის სირბილი
და ელვარება მძვინვარ ღადარის.
სადაც ხმებია რიცხვად ქცეული
სადაც ლითონი ჰქუხს ვით გრიგალი—
მე ვარ სიმღერად გადაქცეული
და სიყვარულის ალმურით მთვრალი.

ვაღვივებ ქურას და ელვარ შანთებს
ვადნობ და ვმღერი უშრეტი ენით.
კომუნის ცაზე შრომის ცეცხლს ვანთებ
ვჭედავ და ვჭედავ ყვავილებს რკინის.

მიხ. გერასიმოვი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ზაქარია ფალიაშვილის იუბილე. 12 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის იუბილე.

ვანო სარაჯიშვილის ძეგლი. მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა გამოაცხადა კონკურსი ვანო სარაჯიშვილის ძეგლის პროექტის გასაკეთებლათ.

მოზეუხინის გასტროლები. პირველი აპრილიდან სახელმწიფო ოპერაში დაიწყო ცნობილი მომღერალის მოზეუხინის (ბასი) გასტროლები.

სურათების გამოფენა. სომეხ მხატვართა სურათების გამოფენა დაიხურება 5 აპრილს.

ნინო ჩხეიძის 30 წ. იუბილე. წელს დამსახურებული მსახობ ქალს ნინო ჩხეიძეს შეუსრულდა ქართულ სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის თავი. საზეიმო წარმოდგენა გაიმართება 2 აპრილს.

ბაჩანას იუბილე. აპრილის ბოლო რიცხვებში განზრახულია იუბილეს გამართვა პოეტ ბაჩანასათვის, მისი სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავათ.

დამინსკაიას გასტროლები. თბილისში ჩამოვიდა და ახალ თეატრში გამოდის სახუმარო სიმღერების ცნობილი შემსრულებელი ი. დამინსკაია.

„მნათობი“. გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ №(10).

პროფ. ჯავახიშვილის ახალი წიგნი. გამოვიდა და იყიდება პროფ. ი. ჯავახიშვილის ახალი ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინეთ და ეხლა“.

ოპერა „ვეფხვის ტყაოსანი“. ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა ლეო ფალიაშვილმა დასწერა ახალი ოპერა „ვეფხვის ტყაოსანი.“ ოპერას ამზადებს საოპერო მუშაკთა ექსპერიმენტალური სახელოსნო „ემორ“-ი, სადაც ოპერა წავა საკონცერტო შესრულებაში.

ნიკო გოცირიძის გაგზავნა საზღვარგარეთ. სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე აკადემიური დრამის სეზონის დამთავრების შემდეგ იგზავნება საზღვარგარეთ გერმანიის და საფრანგეთის თეატრების გასაცნობათ.

ქართული ოპერები ლენინგრადში. ლენინგრადის მარინეს თეატრში გაიგზავნა ქართული ოპერების: „აბესალომ და ეთერის“ და „დაისი“-ს პარტიტურა. ოპერების დადგმა განზრახულია მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

„შოთა რუსთაველი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე. ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმი ამზადებს დ. არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც დაიდგმება ქუთაისის თეატრის სცენაზე.

ახალი ქართული თეატრი. თბილისში განზრახულია დაარსდეს ახალი ქართული სატირიული თეატრი.

პროლეტკულტის თეატრის პრემიერები. პროლეტკულტის თეატრის ქართული სექტორის მორიგი პრემიერები იქნება „ბასტილიის აღება“ (რეჟისორი ვ. გარრიკ) და „დამარცხებულნი“ (რეჟ. დ. კობახიძე).

„წარსულის კოშმარები“. ამ ჟამათ თბილისში აჩვენებენ საქართველოს კინო-მრეწველობის ახალ სურათს „წარსულის კოშმარები“. მთავარ როლებს ასრულებენ ვერიკო ან ჯაფარიძე და აკაკი ხორავა.

„ვინ არის დამნაშავე“ რეჟისორი ალ. წუწუნავა შეუდგა ახალი კინო-ფილმის „ვინ არის დამნაშავე“-ს გადაღებას.

„ქარიშხალის წინ“. საქ. სოც. უზრუნ. სახალხო კომისარიატის კინო-სურათი „ქარიშხალის წინ“ ხელახალი მონტაუისათვის გადაეცა საქ. კინო-მრეწველობას. სურათი გადაკეთებულია და ახლო მომავალში ნაჩვენები იქნება ახალი სახელწოდებით: „ქარიშხალის მაუწყებელნი“.

„მამის მკვლელი ბერლინში“. საქართ. კინო-მრეწველობის დირექტორის გერ. გოგიტიძის მონაწილეობით ბერლინში გაიმართა საბჭოთა საქ რთველოს საპატივცემლო საღამო, რომელსაც დაესწრნენ ქართული კოლონიის წევრები, და სავაჭრო წარმომადგენლები.

„დაჭრა საათმა“ საქ. კინო-მრეწველობა ახლო მომავალში გამოუშვებს ახალ კინო-სურათს „დაჭრა საათმა“—ციკლიდან „რკინის რაზმი“.

სეზონის დახურვა. დაიხურა აკადემიური დრამის სეზონი.

ვ. ვ. ანდრეევის სახელობის ორკესტრი. თბილისში ჩამოვიდა ვ. ვ.ანდრეევის ჩახელობის პირველი სახალხო მხატვრული სიმებიანი ანსამბლი, რომელიც აქ გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

РУССКИЙ.

კინო-სტუდიების დახურვა. პროფესიონალური განათლების მთავარ მმართველობის განკარგულებით დაიხურა მოსკოვის ყველა კინო-სტუდიები.

მოსკოვის ბალეტი საზღვარგარეთ. სეზონის დამთავრების შემდეგ მოსკოვის კლასიური ბალეტის დასი საგასტროლოთ მიემგზავრება გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში და იტალიაში.

რუსი მომღერლები უცხოეთში. ნიუიორკში უდიდეს თეატრ „მეტროპოლიტენ“-ში ამ ჟამათ გამოდიან გამოჩენილი მომღერლები ფ. შალიაპინი და სობინეევა.

„სტეფანე ხალტურინი“. დამთავრდა დიდი ისტორიულ-რევოლიუციონური კინოფილმის „სტეფანე ხალტურინი“- სგადაღება. ცენზურაში გატარების შემდეგ სურათი ნაჩვენები იქნება მოსკოვის საუკეთესო კინო-თეატრებში.

„მამა და ქალიშვილი“. „მეურაბპომრუსი“ ახლო ხანში დაამთავრებს სურათ „მამა და ქალიშვილის“ გადაღებას. მთავარ როლებს ასრულებენ ი. მ. მოსკვინი და მალინოვსკაია.

„ბაღდადელი ქურდი“. ლენინგრადის კინო-თეატრებში ამჟამათ აჩვენებენ ამერიკულ სურათს „ბაღდადელი ქურდი“, რომელშიაც მთავარ როლს ასრულებს საქვეყნოთ ცნობილი კინო-მსახიობი დუგლას ფერბენკსი.

კინო-გამომცემლობათა გაერთიანება. „სევზაპკინო-მეურაბპომი“, საბჭოთა კინო-გამომცემლობა“, „რევოლიუციონური კინეფატოგრაფიის ასოციაცია“ და „პროლეტკინო“ ა-წ. 12 მარტიდან გაერთიანდენ „რ. ს. ფ. ს. რ. კინო-გამომცემლობაში“.

სოვკინო. პირველ მარტიდან აქციონერული საზოგადოება „სოვკინო“ შეუდგა ფაქტიურ მუშაობას. სოვკინოს კომერციულ დირექტორათ დაინიშნა კ. ი. ფელდმანი.

ი. ვ. ილინსკი. მსახიობმა ი. ვ. ილინსკიმ დაარღვია ხელშეკრულება „არტფილმთან“ გადაღების მონოპოლიური უფლების შესახებ და ხელშეკრულება დასდო სევზაპკინოსთან.

ჯონ რიდი ეკრანზე. ვ. ე. მეიერხოლდმა ხელშეკრულება დასდო პროლეტკინოსთან, რომლის ძალით ის შედის პროლეტკინოს გამგეობაში და იწყებს ახალი ფილმის—„ათი დღე რამაც შეარყია ქვეყანა“-ს გადაღებას.

ახალი კომედია. გოსკინოს რეჟისორი ა. ო გავრონსკი ახლო განში შეუდგება ახალი კომედიის —„სართულების ომი“-ს გადაღებას. სურათში მონაწილეობას მიიღებს სამი წლის ბავშვი მიშა მამინი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ფეხბურთელთა გუნდები. ფიზკულტურის თბილისის საბჭომ დაამთავრა ფეხბურთელთა გუნდების რეგისტრაცია. პირველი კატეგორიაში ჩარიცხულია 4 გუნდი, მეორეში —10 და მესამეში —16.

მოდო-ველო სპორტის სეზონი. გაიხსნა მოტო-ველო სპორტის სეზონი. შეჯიბრებები იმართება კვირაობით ველოდრომზე.

გამომცდელი კომისია. ფიზკულტურის თბილისის საბჭოსთან დაარსდა გამომცდელი კომისია, რომელიც გამოცდის ფეხბურთის მსაჯულის ხარისხის მიღების ყველა მსურველებს; გამოცდები სწარმოებს ორშაბათობით დღის 1 საათიდან.

გენცბოლის გუნდი. საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს ᲒᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ დაარსდა გენცბოლის (ბურთის თამაში ხელით) გუნდი, რომელშიაც შედიან ფიზკულტურის აქტიური მუშაკები.

ლენინის სახელობის სტადიონის გაფართოვება. ლენინის სახელობის სტადიონი გაფართოვებული იქნება 20 მეტრით, რის შემდეგაც იქ შესაძლებელი იქნება სპორტის სხვადასხვა სახეების დემონსტრაცია.

ფიზკულტურის ნაციონალიზაცია. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სარედაქციო კომისია ამ ჟამათ იმუშავებს ფიზკულტურის ქართულ ტერმინოლოგიას.

ს. ს. უ. ს. პოლიგრტრესტის მე-4 სტამბა, პუშკინის № 3. მთავლიტი № 485 დაიბ. 16